პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 16 დეკემბერი, 1945 წ. № 248 (7463). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:


გავავრცელოთ და დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება — მოწინავე (1-ლი გვერდი).

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს (1-ლი გვერდი).

გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის დარგში. ვადამდე და მაღალხარისხოვნად შევაკეთოთ ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები (1-ლი გვერდი).

კავთისხევის ნავთსაძიებო უბნის კოლექტივის მიმართვა საქართველოს სსრ ნავთის ტრესტის ყველა ნავთსაძიებო უბნის კოლექტივისადმი (მე-2 გვერდი).

ვ. ესაიაშვილი — ლენინი და სტალინი საბჭოთა დემოკრატიის შესახებ (მე-2 გვერდი).

ალიო ადამია — შუქი პატარა ხახლისა (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).


## გავავრცელოთ და დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება

მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. მუშები, გლეხები, ინტელიგენცია ცდილობენ ახალი წარმატებებით შეხვდნენ 1946 წლის 10 თებერვალს, როცა მოხდება არჩევნები. საყოველთაო შრომითი აღმავლობა, რასაც ამჟამად ჩვენი ქვეყანა განიცდის, მკაფიო გამოხატულებას პოულობს საკოლმეურნეო სოფელში. კოლმეურნეები საჩუქრებს უმზადებენ დედა-სამშობლოს. სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები მაგალითის მიმცემნი არიან ამ დიდ პატრიოტულ საქმეშიც.

პარტია, მთავრობა, დიდი **სტალინი** მშობლიურ მზრუნველობას იჩენენ სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებისადმი. მათ შრომას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ დიდად აფასებს საბჭოთა ხალხი.

რატომ უყვარს ისინი ხალხს?

იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობის ნოვატორები ავლინებენ იმ უდიდეს რეზერვებს, რაც საკოლმეურნეო სოფელს მოეპოვება. ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს განუწყვეტლივ გავადიდოთ მოსავლიანობა, მეტი პროდუქტები და ნედლეული მივიღოთ.

სამამულო ომის მძაფრ დღეებში კოლმეურნე გლეხობამ აქტიურად და სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის სრული შეგნებით შეუწყო ხელი წითელ არმიას მოეპოვებინა მტერზე გამარჯვება. ამაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით უხვი მოსავლის ოსტატებს, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს.

ბევრმა მათგანმა საქვეყნოდ ისახელა თავი კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში დაუღალავი მუშაობით. მრავალთა შორის, მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ნოე ჩხაიძე, რომელმაც წელს ჰექტარზე საშუალოდ სამი ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.500 კილოგრამისა. საქართველოში კარგად იცნობენ სოხუმის რაიონის სოფელ გუმისთის კოლმეურნეობა „რევოლუციის ნაპერწკლის" სტახანოველს ძ. ბოჯოლიანს, რომელმაც 0,4 ჰექტარზე 6 ცენტნერი თამბაქო მოიწია. მთელს რესპუბლიკაში სახელი გაითქვა გალის რაიონის სოფელ რეფი-შეშელეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ტერენტი აბუხბაიამ. მან წელს ჰექტარზე 864 ფუთი სიმინდი მიიღო. კასპის რაიონის სოფელ ნიაბის კოლმეურნეობიდან ა. კლერტიაშვილმა 0,5 ჰექტარიდან 500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ჩააბარა სახელმწიფოს. წარმატებით მუშაობს ბორჯომის რაიონის სოფელ კვიბისის მებოსტნეობის ბრიგადა, რომელსაც ი. გელაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ წელს ერთიორად შეასრულა მოსავლიანობის დაწესებული გეგმა. თეთრი წყაროს რაიონის სოფელ დაგეთხაჩინის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მწველავმა ქალმა ნალბადიანმა ერთი საფურავე ძროხისაგან 9 თვის განმავლობაში 1.654 ლიტრი რძე მიიღო და დიდად გადააჭარბა წლიურ დავალებას. საამაყო მაჩვენებელი აქვს ლ. ნაცვლიშვილს ლ. პ. ბერიას სახელობის ხირსის საბჭოთა მეურნეობაში. მან ჰექტარზე 192 ცენტნერი ყურძენი მოიწია, მაშინ როცა გეგმა 80-ს ითვალისწინებდა.

მოწინავე ადამიანები ასევე უდიდეს წარმატებებს აღწევენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნაყოფიერების ამაღლებაში. წნორისწყლის მტს-ის კომბაინერმა შ. ნაცვლიშვილმა წელს პურეულის მოსავალი კომბაინით 650 ჰექტარზე აიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 200 ჰექტარისა. ალაზნის მტს-ის ტრაქტორისტმა ელენე ნატროშვილმა წლიური დავალება ერთიორად შეასრულა.

რაში მდგომარეობს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა წარმატების წყარო?

იმაში, რომ საბჭოთა პატრიოტებს უყვართ თავისი საქმე, დაუღალავად შრომობენ. ისინი დაეუფლნენ მოწინავე აგრონომიულ მეცნიერებას, წინ სწევენ მას, აგროტექნიკურ ღონისძიებას იყენებენ კომპლექსურად, ურთიერთთან დაკავშირებით.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შესანიშნავი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საკოლმეურნეო სოფელში უდიდესი შესაძლებლობანი გვაქვს გავადიდოთ მოსავლიანობა, ავამაღლოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა, მაღალნაყოფიერად გამოვიყენოთ ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. ის ღონისძიებანი, რომლებსაც მოწინავენი ახორციელებენ, სავსებით ხელმისაწვდომია თითეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და მტს-ისათვის. იქ, სადაც ფართოდ დანერგეს მოწინავე ბრიგადებისა და რგოლების მუშაობის ხერხები და მეთოდები, ჩინებულ შედეგებსაც აღწევენ. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ღრმად შევისწავლოთ მოწინავე ბრიგადების, რგოლების, ადამიანების გამოცდილება, გავხადოთ იგი ყველა კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობისა და მტს-ის მუშის კუთვნილება.

საკოლმეურნეო სოფლის ხელმძღვანელმა მუშაკებმა ყოველდღიური ცოცხალი კავშირი უნდა იქონიონ კოლმეურნე მასებთან. მათ არა მარტო უნდა ასწავლონ მასებს, არამედ კიდევაც ისწავლონ მასებისგან. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელმძღვანელი მუშაკები კარგად უნდა იცნობდნენ მოწინავე ადამიანებს, მათი მუშაობის წესებს.

საჭიროა მოვაწყოთ ექსკურსიები მოწინავე მეურნეობების მუშაობის გასაცნობად, პრაქტიკაში შემოვიღოთ მოწინავეთა მიერ მოხსენებების წაკითხვა მათ მიერ მიღწეულ წარმატებებზე, გავმართოთ სპეციალისტთა მოხსენებები წარჩინებული ადამიანების მუშაობაზე. საქართველოს სსრ მიწსახკომი, საცდელი სადგურები, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები ვალდებული არიან უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების შესწავლას და ფართოდ გავრცელებას.

ჩვენმა ბოლშევიკურმა პრესამ—საოლქო, რაიონულმა და ძირეულმა გაზეთებმა უნდა მოაწყონ სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების მუშაობის პოპულარიზაცია; ისინი არ უნდა დაკმაყოფილდნენ სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მუშაობაზე მარტო მშრალი ინფორმაციის მიცემით, არამედ უჩვენონ, თუ რა აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით აღწევენ მოწინავენი წარმატებებს.

ზამთარი საუკეთესო დროა აგროტექნიკური სწავლების გაშლისა და გამოცდილების პროპაგანდისათვის. ამ მიზნით უნდა ავამოქმედოთ აგროტექნიკური წრეები და კურსები.

1946 წელს სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახულია დიდი ამოცანები. საჭიროა ამთავითვე შევქმნათ ყველა პირობა ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. საუკეთესოდ უნდა გამოვაზამთროთ პირუტყვი, ციტრუსოვანი ნარგავები და ვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის. მომავალ წელს მოვიყვანოთ მეტი მოსავალი. ამ საპატიო ამოცანის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით ჩვენი პარტიის მიერ გამოზრდილ სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს, რომელნიც დიდ ძალას წარმოადგენენ.

მთლიანად გამოვიყენოთ ეს ძალა. გავავრცელოთ და დავნერგოთ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება!

## ცენტრალური საავიაციო-სასპორტო კომისიის პირველი სხდომა

14 დეკემბერს შესდგა სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალურ აეროკლუბთან შექმნილი ცენტრალური საავიაციო-სასპორტო კომისიის პირველი საორგანიზაციო სხდომა. სხდომას დაესწრნენ კომისიის თავმჯდომარე საბჭოთა კავშირის გმირი ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი მ. მ. გრომოვი, საბჭოთა კავშირის გმირი საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი ე. კ. ფედოროვი, საბჭოთა კავშირის გმირი ავიაციის გენერალ-მაიორი ა. ბ. იუმაშევი, გენერალ-მაიორი მ. პ. სპირინი და კომისიის სხვა წევრები.

სხდომა გახსნა ამხ. გრომოვმა, რომელმაც სთქვა, რომ კომისიამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ჩვენს ქვეყანაში მასობრივი საჰაერო სპორტის აღორძინებაში. ომამდე მრავალი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირს ეკუთვნოდა საერთაშორისო რეკორდების უმრავლესობა სპორტის საავიაციო, საჰაერნაოსნო, საპარაშუტო, საპლანერო და საავიამოდელო დარგებში. საჭიროა შეიქმნას პირობები, რომ მომავალშიც ყველა საერთაშორისო რეკორდი ჩვენს ქვეყანას ეკუთვნოდეს. თავდაცვავიაქიმის ორგანიზაციებმა უნდა გამოაცოცხლონ აეროკლუბთა მუშაობა, შექმნან საპლანერო სადგურები და სხვადასხვა წრეები.

პირველ სხდომაზე კომისიამ შეიმუშავა ახალი დებულება სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო-სასპორტო კომისიის შესახებ. (საკდესი).

## საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს

პოლონეთის მუშათა პარტიის პირველი ყრილობა გულითად მადლობას გითვლით თქვენი მისალმებისათვის.

პოლონეთის მუშათა პარტიის ყრილობა პირობას აძლევს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და მთელ საბჭოთა ხალხს, რომ პოლონეთის მუშათა კლასი მთელ პოლონელ ხალხთან ერთად განუხრელად განამტკიცებს აღორძინებული დემოკრატიული პოლონეთის კავშირსა და მეგობრობას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან, კავშირსა და მეგობრობას, რომლებიც განმტკიცებულია წითელი არმიისა და პოლონეთის ჯარის მებრძოლების მიერ ჰიტლერიზმისა და ფაშიზმის წინაალმდეგ ბრძოლაში დაღვრილი სისხლით.

პოლონეთის მუშათა პარტიის ყრილობა დიდებით იხსენიებს წითელ არმიას და პატივსა სცემს წითელი არმიის მეომართა ხსოვნას, რომლებიც დაეცნენ პოლონეთის მიწა-წყალზე გერმანული ოკუპაციისაგან პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

პოლონეთის მუშათა პარტია, ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული, ყველა დემოკრატიულ პარტიასთან ერთად, მთელ ხალხთან ერთად ააგებს ხალხურ პოლონეთს. პოლონეთის მუშათა პარტია როგორც დღემდე, ისე მომავალშიც წაიყვანს პოლონელ ხალხს მთელ მსოფლიოში უშიშროების, განსაკუთრებით ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისა და უზრუნველყოფის გზით, იბრძოლებს პოლონეთისა და საერთაშორისო რეაქციის ზრახვებისა და ინტრიგების წინაალმდეგ, რეაქციისა, რომელიც ხელს უწყობს გერმანული იმპერიალიზმის აღორძინებას და ცდილობს შეასუსტოს მშვიდობის საფუძვლები.

პოლონეთის მუშათა პარტია განამტკიცებს თავისუფალი, დამოუკიდებელი და სუვერენული ხალხური პოლონეთის საზღვრების უშიშროებასა და ურღვევობას.

გაუმარჯოს პოლონელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობას!

გაუმარჯოს პოლონეთის განმათავისუფლებელ წითელ არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს—პოლონეთის ერთგულ მეგობარსა და მოკავშირეს!

გ ა უ მ ა რ ჯ ო ს გენერალისიმუს სტალინს — ჰიტლერიზმსა და ფაშიზმზე გამარჯვებათა ორგანიზატორს!

პოლონეთის მუშათა პარტიის პირველი ყრილობის პრეზიდიუმი.

## გერმანიის არმიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფის საქმე

15 დეკემბერს ქ. სმოლენსკში ოლქის სამხედრო ტრიბუნალში დაიწყო გასამართლება გერმანიის არმიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფისა, რომლებსაც ბრალად ედებათ სამოქალაქო მოსახლეობისა და ტყვე წითელარმიელების მასობრივი მკვლელობა და წამება სმოლენსკისა და სმოლენსკის ოლქის დროებითი ოკუპაციის პერიოდში 1941-1943 წლებში.

პასუხისგებაში მიცემულია 10 კაცი: გერმანიის არმიის მცველი ბატალიონების სამხედრო მოსამსახურეები ვილი **ვაისი**, კურტ **გაუდიანი**, ფრიც **გენჩკე**, ერიხ **მიულერი**, ვილი **კრაუზე**, ჰაინც **ვინკლერი**, ერიხ **ევერტსი**, გერმანელთა სამხედრო ლაზარეთის ექიმის თანაშემწე რუდოლფ **მოდიში**, გერმანელთა სმოლენსკის სამხედრო კომენდატურის თარჯიმანი რობერტ **კირშფელდი** და გერმანიის არმიის 350-ე ქვეითი პოლკის სამხედრო მოსამსახურე იოზეფ **რაიშმანი**.

ყველა ბრალდებულის მიმართ გამორკვეულია, რომ ისინი სისტემატურად იღებდნენ მონაწილეობას სისხლისმღვრელ აწიოკებაში და მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების ქლეტაში დახვრეტის, ჩამოხრჩობის და „დუშეგუბკებში" მოშთობის გზით, ძალადობაში, აბუჩად აგდებაში, ძარცვაში, აწამებდნენ ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს, მხეცურად ეპყრობოდნენ სამხედრო ტყვეებს და სპობდნენ მათ.

გამოძიებისას ყველა ბრალდებულმა დამნაშავედ სცნო თავი მათთვის წაყენებულ ბრალდებებში, რომლებიც, გარდა ამისა, დადასტურებულია მოწმეთა მრავალრიცხოვანი ჩვენებით და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და მათ თანამზრახველთა ბოროტმოქმედებების დამდგენი და გამომკვლევი სახელმწიფო საგანგებო კომისიის მასალებით.

საქმის განხილვას აწარმოებს სამხედრო ტრიბუნალი სასამართლოს ღია სხდომაზე იუსტიციის გენერალ-მაიორ ამხ. **გორიაჩევის** თავმჯდომარეობით. სახელმწიფო ბრალმდებელია იუსტიციის უფროსი მრჩეველი ამხ. **სმირნოვი.** ბრალდებულთა დამცველებად სასამართლოს დანიშვნით გამოდიან ადვოკატები ამხ. **კაზნაჩეევი, ბელოვი, ლუგოვსკოი** და **სიდორენკო.** (საკდესი).

## ვ. ი. ლენინის ძეგლის აღდგენა პეტროზავოდსკში

**პეტროზავოდსკი,** 15 დეკემბერი. (საკდესი). აქ აღდგენილია ვ. ი. ლენინის გრანიტის სკულპტურა, რომელიც 12 წლის წინათ დადგმულ იქნა 25 ოქტომბრის სახელობის მოედანზე. ჰიტლერელ დამპყრობთაგან ქალაქის განთავისუფლების შემდეგ რესპუბლიკის მთავრობამ ძეგლის აღსადგენად მიიწვია მისი ავტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი, რსფს რესპუბლიკის სახალხო მხატვარი მ. გ. მანიზერი. ამჟამად დამთავრებულია ძეგლის აღდგენის მთელი სამუშაო. კარელიის გრანიტისაგან გამოკვეთილი ფიგურა დიდი ბელადისა კვლავ უწინდელ ადგილზეა აღმართული.

## მოსკოვს ჩამოვიდა ბ-ნი ე. ბევინი

15 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ე. ბევინი. ბ-ნ ე. ბევინთან ერთად ჩამოვიდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე ბ-ნი ა. კადოგანი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები ბ-ნი რ. კემპბელი, დ. დიკსონი, დ. სტერნდეილ ბენეტი, ვ. ჰეიტერი, დ. უორდი.

ცენტრალურ აეროდრომზე ბ-ნ ე. ბევინს შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები ფ. ფ მოლოჩკოვი, ვ. ი. ეროფეევი, ვ. გ. ტრუხანოვსკი, აგრეთვე წევრები დიდი ბრიტანეთის საელჩოსი სსრ კავშირში ელჩ ბ-ნ ა. კერის მეთაურობით, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ა. ჰარიმანი, ჩინეთის ელჩი ბ-ნი ფუ ბინ-ჩანი, საფრანგეთის ელჩი გენერალი ჟ. კატრუ, ავსტრალიის დესპანი ბ-ნი დ. მალონეი, ახალი ზელანდიის დესპანი ბ-ნი ჩ. ბოსველი, კანადის საქმეთა რწმუნებული ბ-ნი ლ. მეირანდი.

აეროდრომი მორთული იყო ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

იმავე დღეს მოსკოვს ჩამოვიდა ბრიტანეთის ელჩი ირანში ბ-ნი რ. ბულარდი.

## ბ-ნ ე. ბევინის განცხადება

აეროდრომზე ბ-ნმა ბევინმა მიკროფონთან განაცხადა:

„მე ძლიერ მოხარული ვარ, რომ საბჭოთა რუსეთში ვიმყოფები და ასეთ უაღრესად გულთბილ მიღებას ვხვდები. მე ჩამოგიტანეთ დიდი ბრიტანეთის ხალხის მისალმება. იმედი მაქვს, რომ ეს კონფერენცია და ჩვენი შეხვედრა კიდევ უფრო განამტკიცებენ მეგობრობას ჩვენს შორის და წვლილს შეიტანენ საერთაშორისო მშვიდობისა და აყვავების საქმეში".

## ვ. მ. მოლოტოვის საუბარი ბ-ნ ბირნსთან

15 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ვ. მ. მოლოტოვს საუბარი ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ბ-ნ დ. ბირნსთან.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ვ. ა. ჰარიმანი.

## ვ. მ. მოლოტოვის საუბარი ბ-ნ ბევინთან

15 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ვ. მ. მოლოტოვს საუბარი ჰქონდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ე. ბევინთან.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. კ. კერი და საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე ბ-ნი ა. კადოგანი.

## გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის დარგში. ვადამდე და მაღალხარისხოვნად შევაკეთოთ ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები

### კრასნოდარის მხარის ნოვოტიტაროვსკაიას რაიონის სტარო-მიშასტოვის მტს-ის კოლექტივის მიმართვა

**ყველა ტრაქტორისტს, კომბაინერს, მექანიკოსს, რემონტის მუშას, აგრონომს,**

**საბჭოთა კავშირის მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელ მუშაკებს**

ძვირფასო ამხანაგებო!

ოთხი წლის სამამულო ომის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო წელი ჩვენ პირველად დავამთავრეთ მშვიდობიან ვითარებაში. ჩვენი მტს-ის კოლექტივმა, გერმანელ და იაპონელ აგრესორებზე დიდი გამარჯვებებით აღფრთოვანებულმა, წელს კარგ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია. ჩვენმა კოლმეურნეობებმა უხვი მოსავალი მოიყვანეს და აიღეს, ვადამდე შეასრულეს მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმა და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს მტს-ების მუშაობის ნატურსაზღაურის გეგმა, აგრეთვე 31 ათასი ფუთი პური გადასცეს წითელი არმიის ფონდს.

ამ საპატიო საქმეში საკმაოდ დიდი როლი შეასრულა ჩვენმა მტს-მა. 20 ნოემბერს არსებული მდგომარეობის მიხედვით სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა შესრულებული გვაქვს 130 პროცენტით, 15-ძალიანი ტრაქტორის საშუალო გამომუშავება შეადგენს 610 ჰექტარს რბილ ხვნაზე გადაყვანით, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 475 ჰექტარი. გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით არის შესრულებული ყველა სახის სატრაქტორო სამუშაოთა მიხედვით. კომკავშირულ-ახალგაზრდულმა სატრაქტორო ბრიგადამ, რომლის ბრიგადირიც არის ამხ. ტიმჩენკო, 223 პროცენტით შეასრულა წლიური პროგრამა, ამასთან დაზოგა 2.518 კილოგრამი საწვავი. ამხ. ხარჩენკოს ბრიგადამ — 195 პროცენტით, ამასთან დაზოგა 1.843 კილოგრამი საწვავი. კომბაინერმა ამხ. გრეჩკომ 14 სამუშაო დღეში კომბაინ „კომუნარით" აიღო 497 ჰექტარი თავთავიანი კულტურები, კომბაინერმა ამხ. კოვალიოვმა კომბაინ „სტალინეცით" 16 სამუშაო დღეში აიღო 544 ჰექტარი. ტრაქტორისტმა ამხ. ვისოცკაიამ ტრაქტორ „უნივერსალით" გამოიმუშავა 441 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაყვანით. ასეთსავე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია მრავალმა სხვა ჩვენმა ტრაქტორისტმა და კომბაინერმა.

ეს წარმატებები უწინარეს ყოვლისა იმის შედეგია, რომ მტს-ში წარმატებით ჩატარდა 1944-1945 წლების საშემოდგომო-საზამთრო რემონტი. ჩვენ ყველა ტრაქტორი და სასოფლო-სამეურნეო მანქანა დროულად და მაღალხარისხოვნად შევაკეთეთ და კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში გვქონდა სასოფლო-სამეურნეო წლის მანძილზე. ჩვენი მტს-ი საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე კარგად მოემზადა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესასრულებლად. 1946 წელი კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებელთა წელი უნდა გახდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობაში, უნდა გახდეს იმ ჭრილობათა უსწრაფესი მოშუშების წელი, რაც ომმა სოფლის მეურნეობას მიაყენა.

სოფლის მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნით მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს. ჩვენი მტს-ის კოლექტივმა გადასწყვიტა 1946 წელს სანიმუშო მუშაობით მიაღწიოს იმას, რომ ჩვენს კოლმეურნეობებში მთლიანად იქნას ათვისებული ომამდელი სათესი ფართობები და ჰექტარზე მარცვლეულის 120 ფუთი მოსავალი მიიღოს. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში დაიწყო მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე. ჩვენი მტს-ის კოლექტივმა გადასწყვიტა არჩევნებისათვის მზადება აღნიშნოს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის ვადამდე და მაღალხარისხოვნად დამთავრებით, ვინაიდან იგი საგაზაფხულო თესვის მომზადებისა და ჩატარების გადამწყვეტი პირობაა.

ტრაქტორების, სათესი მანქანების, გუთნების, კულტივატორების რემონტის გეგმა მეოთხე კვარტალში შესრულებული გვაქვს ვადაზე ერთი თვით ადრე.

რემონტის პირველ წარმატებებს მივაღწიეთ რემონტის მუშათა შორის შრომის სწორი ორგანიზაციის მეოხებით. ჩვენ, როგორც წესი, მანქანას სარემონტოდ ვაყენებთ წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით, თითეულ მანქანაზე სდგება დეფექტის უწყისი, სარემონტო დეტალებს დროულად და გულმოდგინედ აღვადგენთ. ჩვენ კარგი საყოფაცხოვრებო პირობები შევუქმენით რემონტის მუშებს და საზოგადოებრივი კვება მოვაწყეთ მათთვის. რემონტის მუშებს ყოველდღე უკითხავენ გაზეთებს, სახელოსნოებში გამოკრულია ცვლის დავალებათა შესრულების მაჩვენებლები. მერემონტეები ერთმანეთს ეჯიბრებიან და სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს. ხარატი ამხ. გონჩაროვი 250-300 პროცენტით ასრულებს დავალებებს, ზეინკალი ამხ. გორენკო — 200 პროცენტით, მჭედელი ამხ. მირნი — 250 პროცენტით.

ჩვენი მანქანა-ტრაქტორის სადგურის კოლექტივი მიმართავს საბჭოთა კავშირის ყველა ტრაქტორისტს, კომბაინერს, მექანიკოსს, რემონტის მუშას, აგრონომს, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს მოწოდებით — გააჩაღონ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის ვადამდე და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

სტარო-მიშასტოვის მტს-ის კოლექტივი ებმება სოციალისტურ შეჯიბრებაში და შემდეგ ვალდებულებებს კისრულობს:

1. ტრაქტორების, ნიადაგის დასამუშავებელი და სათესი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის საშემოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმა „ფრიადზე" და „კარგზე" შეასრულონ 1946 წლის 10 თებერვლისათვის, ე. ი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის.

2. შეაკეთონ და სამუშაოდ გაამზადონ კომბაინები, სალეწი მანქანები, ლოკომობილები და მოსავლის ასაღები სხვა მანქანები 1946 წლის 10 აპრილისათვის.

3. ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის დროს მიაღწიონ ხახსრების ეკონომიას სულ ცოტა 10 პროცენტით.

4. მტს-ის სახელოსნოს ძალებით აღადგინონ და დაამზადონ 10.000 მანეთის სათადარიგო ნაწილები.

5. სანიმუშოდ მოაწყონ ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შენახვა ზამთარში.

6. უზრუნველჰყონ ზამთრის განმავლობაში თვითეული სატრაქტორო ბრიგადა ინსტრუმენტისა და თვლების მოსახსნელი მოწყობილობის კომპლექტით ტექნიკური მოვლის ჩასატარებლად. მინდვრად გასვლის წინ თვითეულ ტრაქტორისტს ჩააბარონ ინსტრუმენტის ინდივიდუალური კომპლექტი.

7. დააკომპლექტონ მოძრავი სახელოსნოები ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების საველე რემონტისათვის საჭირო ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოს სრული ანაწყობით.

8. მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე თვითეული სატრაქტორო ბრიგადა უზრუნველჰყონ კეთილმოწყობილი ვაგონეტით, რომელიც მომარაგებული უნდა იყოს საჭირო ინვენტარით.

9. შეაკეთონ 1946 წლის 1 თებერვლისათვის სატრაქტორო ბრიგადებში არსებული 10 სარდაფი საწვავის შესანახავად, 10 ფარდული საველე პირობებში ტრაქტორების შესაკეთებლად და 10 გასაწყობი ურიკა.

10. მოამზადონ და გადაამზადონ მექანიზატორთა სკოლებში და მტს-ებთან არსებულ კურსებზე 90 ტრაქტორისტი, 10 ბრიგადირი და 15 კომბაინერი.

11. დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს ცხენის ინვენტარის — გუთნების, სათესი მანქანების, კულტივატორების, ფარცხების, სამკელი და სათიბი მანქანების რემონტის დროულად ჩატარებაში.

ამხანაგო ტრაქტორისტებო, კომბაინერებო და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში თავდადებული შრომით ცხადვყოთ ჩვენი დარაზმულობა, ჩვენი ერთგულება მშობლიური ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი. ახალ-ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღვნიშნოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის ვადამდე და მაღალხარისხოვნად შეკეთებისათვის!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს—კომუნისტურ პარტიას და მის ბელადს დიდ **სტალინს!**

**სტარო-მიშასტოვის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაკთა საერთო კრების დავალებით მიმართვას ხელს აწერენ:**

მტს-ის დირექტორი **ი. ზ. იაროვოი**

მტს-ის უფროსი მექანიკოსი **ზ. კ. ნოვობრანცევი**

მტს-ის პარტორგანიზაციის მდივანი **დ. კ. კალინოვი**

სახელოსნოების გამგე **ა. ს. ნესტერენკო**

ხარატი **ი. კ. გონჩაროვი**

ზეინკალი **ვ. კ. გორენკო**

სარემონტო ჯგუფების ბრიგადირები: **ი. პ. ბოგდანოვი, გ. ა. ტიმჩენკო, პ. ი. ხარჩენკო**

ტრაქტორისტები: **ა. ვისოცკაია, ა. კისლიცა, მ. უსი**

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები: **ნ. ფ. კრავცოვი, პ. ნ. სილიშჩევი, ი. პ. ჩაპლიგინა.**

# გავაჩაღოთ საქართველოს ნავთსაძიებო უბნებს შორის სოციალისტური შეჯიბრება

## კავთისხევის ნავთსაძიებო უბნის კოლექტივის მიმართვა საქართველოს სსრ ნავთის ტრესტის ყველა ნავთსაძიებო უბნის კოლექტივისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

მოახლოვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე. შორს აღარ არის საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავიც. საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკები, მთელ მშრომელ მოსახლეობასთან ერთად აღფრთოვანებით ემზადებიან ამ ორი დიდმნიშვნელოვანი თარიღისათვის.

პარტიამ და მთავრობამ საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკებს პასუხსაგები ამოცანა დააკისრეს—უახლოეს წლებში გამოიკვლიონ და სამრეწველო დამუშავებისათვის მოამზადონ საქართველოს მაღალდებიტიანი ნავთის საბადოები. ამისათვის 1946 წლის განმავლობაში ჩვენ უნდა გავბურღოთ 50.000 მეტრი, ხოლო მარტო კავთისხევის ნავთსაძიებო უბანზე—8.000 მეტრზე მეტი.

ჩვენ, კავთისხევის ნავთსაძიებო უბნის მუშაკები მოგმართავთ საქართველოს ნავთის ტრესტის ყველა ნავთსაძიებო უბანთა და საწარმოთა კოლექტივებს—გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება 1946 წლის ბურღვის გეგმათა მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ჩვენ ვკისრულობთ:

1. ბურღვის წლიური საწარმოო გეგმა შევასრულოთ 1946 წლის 5 დეკემბრისათვის და ყოველი 1 მეტრი ჭაბურღილის თვითღირებულება ნორმასთან შედარებით 10 პროცენტით შევამციროთ.

2. დავიწყოთ 6 ჭაბურღილის ამოღება და მათ შორის ყველა გეოლოგიურ-ტექნიკურ მოთხოვნათა ზუსტი დაცვით უზრუნველვყოთ 4 ჭაბურღილის დამთავრება.

3. მოვახდინოთ სამი ჭაბურღილის მთლიანი გამოცდა.

4. აღმოვფხვრათ ბურღვის დროს გაცდენები, წინასწარ კარგად მოვაწყოთ სამუშაო ადგილები, მოვიმარაგოთ საჭირო მასალები, ხელსაწყოები და საწვავი, გავაუმჯობესოთ მოწყობილობათა მოვლა-პატრონობა და თავის დროზე შევასრულოთ წინასწარი და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.

5. ბურღვაში სათანადო რეჟიმის მტკიცედ დანერგვისა, გაცდენების აღმოფხვრისა და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის შედეგად ყოველი დაზგის მიხედვით ბურღვის სისწრაფე თვეში 250 მეტრამდე ავიყვანოთ.

6. აღმოვფხვრათ ავარიები ბურღვის დროს.

7. გავწიოთ ელექტროენერგიისა და საწვავის ეკონომია ნორმასთან შედარებით 10 პროცენტით.

8. 1946 წლის განმავლობაში მოვამზადოთ 5 მბურღავი და 5 მბურღავის თანაშემწე, 5 კოშკზე მომუშავე, 10 ელექტრომონტიორი, 5 ზეინკალი, 4 მემანქანე და 10 მზეთავი.

9. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავისათვის—1946 წლის 25 თებერვლისათვის დავამთავროთ № 2 ჭაბურღილის გაბურღვა.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრონ კონკრეტული ვალდებულებანი 1946 წლის იანვრიდან — მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი თვის დასაწყისიდანვე გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური დახმარებით, ჩვენი რესპუბლიკის ნავთის მრეწველობის მუშაკები, ეჭვი არაა, შესძლებენ გაამართლონ ის დიდი ყურადღება და მზრუნველობა, რომელსაც ჩვენ გვიწევს დიდი **სტალინის** თანამებრძოლი **ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.**

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას — ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ სტალინს!

კავთისხევის ნავთსაძიებო უბნის კოლექტივის დავალებით: **ვ. საყვარელიძე** (უბნის უფროსი), **თ. ჩხიკვაძე** (უბნის უფროსის მოადგილე), **შ. ჩუბინიძე** (უფროსი გეოლოგი), **ვ. მჭედლიშვილი** (პარტორგანიზაციის მდივანი), **კულიკოვი** და **კულიშოვი** (ბურღვის ოსტატები), **კონტენეცკი** (მექანიკოსი), **ბერიაშვილი**, **ტატანაშვილი**, **როტკინი**, **კოპაძე** (მბურღავები), **ნატროშვილი** (მბურღავის თანაშემწე), **კაპიტონოვი** (მემანქანე), **ნუგზარაშვილი** (ზეინკალი), **ირემაშვილი** (დურგალი), **ახვლედიანი** (სამშენებლო უბნის უფროსი), **ვორბულევი** (შოფერი), **ახნაზაროვი** (ელექტრომონტიორი), **გოზალოვი** (მემანქანე).

---

# კავთისხეველთა ინიციატივა

კავთისხევის ნავთსაძიებო უბნის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების საერთო კრებაზე, რომელიც 14 დეკემბერს შესდგა ამ უბნის კოლექტივის 1946 წლის ამოცანების განსახილველად, მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ნავთის ტრესტის მმართველი ნ. აბესაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მომავალი წლისათვის პარტიამ და მთავრობამ საქართველოს ნავთის მაძიებლებს უაღრესად მნიშვნელოვანი დავალებები მისცეს, კერძოდ კავთისხეველებს დავალებული აქვთ სავსებით გამოარკვიონ ამ უბანზე ნავთის შემცველ ფენათა განლაგება და მათი სამრეწველო დამუშავების პერსპექტივა.

1946 წელს საქართველოს მიწის წიაღის ნავთის რესურსების შესწავლაზე მუშაობა, კავთისხევს გარდა, გაშლილ იქნება 7 სხვა ნავთსაძიებო უბანზე. ჯერჯერობით მუშაობა მხოლოდ ოთხ უბანზეა დაწყებული. მათ შორის ყველაზე მოწინავე ადგილი უკავიათ კავთისხეველ ნავთმაძიებლებს, რომლებიც მუშაობის ყველა დარგში საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან.

მომავალი წლის ამოცანათა შესასრულებლად, როგორც კავთისხეველ ნავთმაძიებლებს, ისე საქართველოს ნავთის ტრესტის სხვა ნავთსაძიებო უბნების კოლექტივებს დასჭირდებათ საძიებელი ჭაბურღილების ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოება, ბურღვის ტემპების კიდევ უფრო დაჩქარება. არ უნდა დავუშვათ ბურღვის დროს გაცდენა, დროის უნაყოფოდ დაკარგვა. საჭიროა ამთავითვე დავრაზმოთ ნავთმაძიებლები, წინასწარ მოვიმარაგოთ ყველა საჭირო ხელსაწყო, მასალები, ვიყოლიოთ დამხმარე მუშები და სრული მზადყოფნით შევხვდეთ ახალ სამეურნეო წელს.

ტრესტის მმართველის ნ. აბესაძის მოხსენების შემდეგ კრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს კავთისხევის ნავთსაძიებო უბნის მოწინავე ადამიანებმა:

### შ. ჩუბინიძე

მთავარი გეოლოგი, მბურღავთა კომიტეტის თავმჯდომარე



— მართალია ჩვენ ცუდად არ ვმუშაობთ, გვაქვს მიღწევები, მაგრამ ამით არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ. მომავალში უფრო უკეთესად უნდა ვიმუშაოთ. ახლოვდება ქართველი ხალხის დიდი დღესასწაული — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცდახუთი წლისთავი. ამ თარიღს წინ უსწრებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რაც 10 თებერვალს ჩატარდება. წინადადება შემომაქვს ამ ორი დიდი თარიღის აღსანიშნავად გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი ჭაბურღილების მომსახურე ჯგუფებს შორის წლიური საწარმოო დავალებების საუკეთესოდ შესრულებისათვის. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენი ამოცანაა 1946 წელს გავბურღოთ 8.000 მეტრი. ამით ჩვენ საშუალება გვექნება პარტიასა და მთავრობას გარკვევით ვუთხრათ, არის თუ არა ჩვენს უბანზე ნავთისშემცველი ფენების ისეთი სიუხვე, როგორსაც ჩვენ გეოლოგები ყველა წინასწარი მონაცემებით მოველით.

### ვ. საყვარელიძე

კავთისხევის ნავთსაძიებო უბნის უფროსი



— ჩვენს უბანს მტკიცე, ინიციატივიანი კოლექტივი ჰყავს. სწორედ ამიტომ მოვიპოვეთ პირველი წარმატებები. მაგრამ რაც გაკეთდა, ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. წინ დიდი სამუშაო მოგველის. პარტია და მთავრობა ყველა პირობას გვიქმნიან იმისათვის, რომ უკეთესად, უფრო გამართულად ვიმუშაოთ, პირნათლად შევასრულოთ მოცემული დავალებანი. მხარს ვუჭერ წინადადებას სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. როგორც იცით, ნავთსაძიებო სამუშაოები გაჩაღებულია ნორიოში, იორზე, მლაშისხევში და მთელ რიგ სხვა უბნებზე. კარგი იქნება ისინიც გამოვიწვიოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში 1946 წლის დავალებათა უკეთესად შესრულებისათვის.

### ვ. მჭედლიშვილი

მბურღავის თანაშემწე



— მეხუთე საცდელმა ჭაბურღილმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენი უბანი მდიდარია სამრეწველო მნიშვნელობის ნავთით. ამან ახალი ხალისი შეგვმატა ყველას. სულით და გულით მხარს ვუჭერ წინადადებას გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი უბნის ჭაბურღილებს შორის და ამას გარდა შეჯიბრებაში გამოვიწვიოთ საქართველოს ნავთის ტრესტის სხვა ნავთსაძიებო უბნების კოლექტივები. პირადად ვკისრულობ უზრუნველვყო ჩემი ვახტის მიერ სადღეღამისო დავალებათა გადაჭარბებით შესრულება. მოვამზადო ერთი მბურღავი, ერთი მემოტორე და ერთი კოშკზე მომუშავე ისე, რომ მათ შესძლონ დამოუკიდებლად მუშაობა.

### გ. ბერიაშვილი

მბურღავი



— ნავთის მაძიებელთა სოციალისტურ შეჯიბრებას გადაჭრით ვუჭერ მხარს. პირობას ვიძლევი ამ შეჯიბრებაში მოვიპოვო კავთისხევის უბნის საუკეთესო მბურღავის სახელი. ვკისრულობ 25 თებერვლისთვის ჩვენს ჭაბურღილზე ახალმოსული ამხ. კაციაშვილი მოვამზადო კოშკის მუშად.

### კ. ტატანაშვილი

მბურღავის თანაშემწე



— ერთი წლის წინათ კოლმეურნეობაში მწყემსად ვმუშაობდი როდესაც აქ ერთი ინჟინრის რჩევით სამუშაოდ მოვედი, ვიფიქრე, რომ მბურღავის საქმეს ადვილად ვერ შევისწავლიდი. მაგრამ ახლა შემიძლია ვსთქვა, რომ ეს პროფესია ავითვისე. ვებმები რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვკისრულობ მომავალ წელს საწარმოო დავალება ჩემს ჭაბურღილზე 150 პროცენტით შევასრულო, მოვამზადო ახალი მბურღავები, ხოლო უახლოეს ორ თვეში — იანვარ-თებერვალში მოვამზადო კვალიფიციურ მბურღავათ კომკავშირელი ამხ. მჭედლიშვილი.

### ვ. ნატროშვილი

მბურღავის თანაშემწე



— მეორე საცდელ ჭაბურღილზე მომუშავეთა სახელით დავალებული მაქვს განვაცხადო, რომ ჩვენ პირობას ვიძლევით 1946 წლის პირველ თვეებშივე ავითვისოთ სწრაფად ბურღვის მეთოდები. პირადად ვკისრულობ მოვამზადო ერთი მბურღავი და ამავე დროს 150 პროცენტით შევასრულო ბურღვის გეგმები.

### ნ. კულიშოვი

ბურღვის ოსტატი



— უბნის ახალგაზრდა მბურღავებთან ერთად ვებმები სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირობას ვდებ ჩვენი ჭაბურღილი, მიუხედავად ყოველგვარი გეოლოგიური თუ სხვა დაბრკოლებებისა, დავამთავრო ვადაზე ერთი თვით ადრე, ბურღვის ყოველდღიური სისწრაფე ავიყვანო სარეკორდო მაჩვენებლამდე, სამი თვის განმავლობაში მოვამზადო ჭაბურღილის 6 მუშა.

იმისათვის, რომ ჩვენ გავიმარჯვოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში და კვლავ შევინარჩუნოთ საქართველოს ნავთსაძიებო უბნებს შორის პირველობა, საჭიროდ მიმაჩნია მოვთხოვოთ უბნის ხელმძღვანელობას: მოგვიწყონ ადგილობრივ მექანიკური სახელოსნო, სამჭედლო და მოგვამარაგონ საჭირო ხელსაწყოებით. საჭიროდ მიმაჩნია აგრეთვე მოეწყოს ტექნიკური მინიმუმის შემსწავლელი წრე.

ამას გარდა, წინადადება შემომაქვს ვიკისროთ საერთო ვალდებულებად, რომ მეორე საცდელი ჭაბურღილი დავამთავროთ საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავისთვის.

* * *

კრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე მბურღავმა პ. როტკინმა, მემანქანე-მოტორისტმა ამხ. კაპიტონოვმა, მექანიკოსმა ამხ. კოსტელეცკიმ და სხვ. კრებამ ერთხმად მიიღო მიმართვა საქართველოს ნავთის ტრესტის ყველა ნავთსაძიებო უბანთა კოლექტივებისადმი 1946 წლის საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილემ სათბობისა და ენერგეტიკული მრეწველობის დარგში ამხ. ვ. გოგუამ.

---

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

# ლენინი და სტალინი საბჭოთა დემოკრატიის შესახებ

მარქსმა და ენგელსმა პირველად მოგვცეს დემოკრატიის ნამდვილი მეცნიერული ახსნა. მათ ბოლომდე გამოამჟღავნეს ცრუ ბურჟუაზიული შეხედულებანი ე. წ. „წმინდა დემოკრატიის" შესახებ, დაამტკიცეს, რომ ანტაგონისტურ კლასებად გათიშულ საზოგადოებაში შეუძლებელია დემოკრატია ყველა კლასისათვის, საზოგადოების ყველა ფენისათვის.

ვიდრე არსებობს კაპიტალისტური წყობილება, არ შეიძლება არსებობდეს ნამდვილი თანასწორობა, ვინაიდან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „დემოკრატიული თანასწორობა არის ქიმერა". მარქსმა და ენგელსმა პროლეტარიატს ასწავლეს, რომ ნამდვილი დემოკრატიის განხორციელებისათვის საჭიროა არსებული ბურჟუაზიული წყობილების დამხობა და ძალაუფლების საკუთარ ხელში აღება.

დემოკრატიის შესახებ მარქსისა და ენგელსის შეხედულებანი განავითარეს ლენინმა და სტალინმა. ახალ, კონკრეტულ ისტორიულ მასალაზე მათ შექმნეს მწყობრი, დამთავრებული მოძღვრება საბჭოთა, სოციალისტური დემოკრატიის შესახებ.

საბჭოთა დემოკრატია არის ახალი, უმაღლესი ტიპის სახელმწიფოს—სოციალისტური სახელმწიფოს ფორმა. საბჭოთა, სოციალისტური დემოკრატია არის ერთადერთი ნამდვილი, ყველაზე სრული, ბოლომდე თანმიმდევარი დემოკრატია. საბჭოთა დემოკრატია თვისობრივად ახალი დემოკრატიაა, პრინციპულად განსხვავებული ისტორიაში დღემდე არსებული ყოველგვარი დემოკრატიისაგან.

დემოკრატიის იდეას, ხალხის ძალაუფლების იდეას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მაგრამ ხალხის ეს სანუკვარი ოცნება მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში იქცა სინამდვილედ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად.

ოქტომბრის რევოლუციით ახალი პერიოდი დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში: დედამიწის ერთ მეექვსედზე დამსხვრეულ იქნა ბურჟუაზიისა და მემამულეების სახელმწიფო, შეიქმნა ახალი, მშრომელთა სახელმწიფო. ამრიგად, როგორც ლენინმა სთქვა, „დამთავრდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარლამენტარიზმის ეპოქა, დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი თავი: პროლეტარული დიქტატურის ეპოქა".

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის პირველსავე წლებში გამოამჟღავნა უდიდესი ძალა და ცხოველმყოფელობა. შეიცვალა ვითარება: თვით მშრომელები ჩაუდგნენ სათავეში სახელმწიფო მართვა-გამგეობას და გახდნენ თავიანთი ბედის ბატონ-პატრონნი. განხორციელდა მშრომელთა ნამდვილი დემოკრატია.

ამ დროისათვის საბჭოთა დემოკრატია იყო დემოკრატია საზოგადოების აბსოლუტურად დიდი უმრავლესობისათვის. როგორც დროებითი ღონისძიება, არსებული პირობების გამო, შინაური მტრების იზოლაციის მიზნით, 1918 და 1924 წლების კონსტიტუციების საარჩევნო სისტემათ დაწესებული იყო ერთგვარი შეზღუდვები, მაგრამ მაშინაც კი ჩვენი დემოკრატია იყო ყველაზე სრული და ღრმა. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „პროლეტარული დემოკრატია მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია ყოველგვარ ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე; საბჭოთა ხელისუფლება მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია, ვიდრე თვით ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკა".[1])

საბჭოთა დემოკრატია ყოველდღიურად იზრდებოდა და მტკიცდებოდა. იგი ვითარდებოდა სოციალიზმის ზრდის შესაბამისად და, პირიქით, სოციალიზმის მშენებლობის წარმატებებს უზრუნველჰყოფდა საბჭოთა დემოკრატიის განმტკიცება და გაფართოება.

სოციალიზმის გამარჯვებით ჩვენს ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ მოისპო ექსპლოატატორული კლასები, ექსპლოატაციის ყოველგვარი შესაძლებლობა. დამკვიდრდა საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება საწარმოო საშუალებებსა და იარაღებზე, განმტკიცდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი. ყოველივე ამის შედეგად შესაძლებელი გახდა სავსებით და ბოლომდე გაგვეშალა საბჭოთა დემოკრატიის დროშა. სტალინური კონსტიტუციის მიღება, როგორც ამხანაგი მ. ი. კალინინი ამბობს, არსებითად წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის სრული დემოკრატიზაციის დამთავრებას.

სტალინურმა კონსტიტუციამ ოქროს ასოებით ჩაწერა და საკანონმდებლო წესით განამტკიცა მოქალაქეთა ის მაღალი და დიადი დემოკრატიული უფლებები, რომელნიც უზრუნველყოფილი არიან სოციალიზმის გამარჯვებით. საბჭოთა დემოკრატია შევიდა თავისი განვითარების უმაღლეს სტადიაში — დამკვიდრდა სოციალისტური დემოკრატია. საბჭოთა დემოკრატია ახლა, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, „წარმოადგენს არა „ჩვეულებრივსა" და „საყოველთაოდ აღიარებულ" დემოკრატიზმს საერთოდ, არამედ **სოციალისტურ დემოკრატიზმს**".[2])

ლენინმა და სტალინმა გვიჩვენეს ის არსებითი დამახასიათებელი ნიშანი, რითაც საბჭოთა დემოკრატია პრინციპულად განსხვავდება ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან.

ლენინმა საბჭოთა დემოკრატიას უწოდა: **უშუალო და პირდაპირი დემოკრატია.** ეს ნიშნავს: ხალხი უშუალოდ ირჩევს თავის ხელისუფლებას, ხალხი უშუალოდ თვითონ მართავს სახელმწიფოს, ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები სავსებით ერთი და იგივეა. ხალხისავე ხელშია მისი ინტერესების განხორციელების ყველა საშუალება. ხალხია როგორც კანონმდებელი, ისე აღმსრულებელი. სწორედ ამაშია საბჭოთა დემოკრატიის დედაარსი.

საზოგადოებათა და სახელმწიფოთა ისტორიაში პირველად მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, სახელმწიფოს საბჭოთა ფორმაში გახდა შესაძლებელი საკანონმდებლო ფუნქციის აღმსრულებელ უფლებებთან შეერთება. ლენინი სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს, როცა ამბობს, რომ საბჭოები იძლევა „ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობის სახით როგორც საკანონმდებლო ფუნქციის, **ისე კანონთა შესრულების** შეერთების საშუალებას ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმთან შედარებით ეს ისეთი წინგადადგმული ნაბიჯია დემოკრატიის განვითარებაში, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს."[3])

ამხანაგი სტალინი სოციალისტური სახელმწიფოს დემოკრატიზმს უწოდებს **მოქმედების დემოკრატიზმს** და ამით განსაზღვრავს მის ნამდვილ ხასიათს, მის რეალობას. უაღრესად საინტერესოა ამ მხრივ სტალინის მიერ საკითხის დაყენება ჯერ კიდევ 1906 წელს სტატიაში „რეორგანიზაცია თბილისში". ამხანაგი სტალინი სწერს:

„დემოკრატიზმი არ შესდგება მარტო დემოკრატიულ არჩევნებში. **არჩევნების** დემოკრატიზმს ჯერ კიდევ ვერ დაერქმევა ნამდვილი დემოკრატიზმი: ნაპოლეონ მესამე საერთო ხმის უფლებით აირჩიეს, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს არჩეული იმპერატორი ხალხის უდიდესი დამმონავებელი იყო? ჩვენ **მოქმედების** დემოკრატიზმზე გვაქვს ლაპარაკი..."[4]).

მოქმედების დემოკრატიზმს სწორედ საბჭოთა დემოკრატიზმი წარმოადგენს. ჩვენს ქვეყანაში ხალხი სწყვეტს საკითხებს და ხალხივე მოქმედებს. საბჭოთა ხელისუფლება ნამდვილად ხალხური ხელისუფლებაა. ამიტომაა, რომ სახელმწიფოს ყოველი კანონი, ყოველი ღონისძიება გასაგებია, ახლობელი და სავსებით მისაღები ხალხისათვის. საბჭოთა ხელისუფლების ყოველი გადაწყვეტილება ხალხის ნებისყოფასა და სურვილებს გამოხატავს. ამიტომ არის, რომ ასე აღფრთოვანებით, მთელი მონდომებით, ორგანიზებულად და ერთსულოვნებით ახორციელებენ საბჭოთა ადამიანები ყველა სახელმწიფო ღონისძიებას. ამაშია ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოსა და საზოგადოების ძალა, მისი უძლეველობა, რაც ასე მკაფიოდ გამომჟღავნდა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში.

საბჭოთა დემოკრატიის ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას წარმოადგენს ბოლშევიკური პარტია, რომლის მთელი, ყოველდღიური მოღვაწეობა მიმართულია ხალხის საკეთილდღეოდ. ბედნიერია საბჭოთა ხალხი, რომელსაც ასეთი ნაცადი, გამობრძმედილი და ბრძენი პარტია ხელმძღვანელობს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ბურჟუაზიულ ქვეყნებში?

იქ ჩვეულებრივად საკანონმდებლო ფუნქცია ბურჟუაზიის ხელშია. იგი სცემს კანონებს, ბრძანებებს, წესებს, —ცხადია, თავისი კლასობრივი ინტერესების შესაბამისად, ხოლო მისი აღმსრულებელი საბოლოო ანგარიშით ხალხია, რომლის უმრავლესობა მშრომელებია; ამ მშრომელთათვის ხშირად გაუგებარი, მიუღებელი და საზიანო სახელმწიფოს ესა თუ ის ღონისძიება. შეუძლებელია ლაპარაკი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების ერთიანობის შესახებ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამიტომ, რაც უნდა ხმამაღლა გაჰკიოდეს ბურჟუაზია დემოკრატიის შესახებ, იგი მუდამ იყო და დარჩება დემოკრატიად მხოლოდ ბურჟუაზიისათვის, ფარისევლურ, უდღეურ და მახინჯ დემოკრატიად, „სამოთხედ მდიდრებისათვის, მახედ და მოტყუებად ექსპლოატირებულთათვის, ღარიბთათვის"[5]).

საბჭოთა დემოკრატიზმი ასახულია დიად სტალინურ კონსტიტუციაში, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ეპოქის უდიდეს დოკუმენტს.

საბჭოთა დემოკრატიის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნები ფარული კენჭისყრით, რომელიც ტარდება ჩვენს ქვეყანაში სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე. ჩვენი საარჩევნო სისტემა, წინააღმდეგ ბურჟუაზიულისა, არ იცნობს არავითარ შეზღუდვასა და გამონაკლისებს. შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ ყოველმა მოქალაქემ სავსებით და მთლიანად განახორციელოს თავისი საარჩევნო უფლებები.

საბჭოთა დემოკრატიზმი ნამდვილად ახორციელებს ჩვენი საზოგადოების ყველა წევრის უფლებებს. სტალინური კონსტიტუციის მიხედვით ყველა მოქალაქეს აქვს შრომის, განათლების, დასვენების უფლება, უფლება მატერიალური უზრუნველყოფისა მოხუცებულობის, ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში. ყველა ეს უფლება განმტკიცებულია საკანონმდებლო წესით და გარანტირებულია მატერიალურად სახელმწიფოს მხრივ.

ჩვენს ქვეყანაში — სოციალისტურ საზოგადოებაში უფლება არ იმყოფება პრაქტიკასთან, სინამდვილესთან წინააღმდეგობაში. მოქალაქეთა უფლებანი და მოვალეობანი გადაქცეულია მოქმედ კანონად. ამის შესახებ საკუთარი ცხოვრების გამოცდილებით იცის ყოველმა საბჭოთა მოქალაქემ.

ადამიანის უმნიშვნელოვანესი უფლება — ეს არის შრომის უფლება. ეს დიადი უფლება განხორციელებულია მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში. ყოველი საბჭოთა მოქალაქე გარანტირებულია თავისი ნიჭისა და უნარის შესაფერისი სამუშაოთი. შრომა ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენს უშუალოდ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. სწორედ შრომა და არა სხვა რამე განსაზღვრავს თვითეული საბჭოთა მოქალაქის პირად კეთილდღეობას და ადგილს საზოგადოებაში. მეტად საინტერესოა ამის შესახებ ცნობილი პატრიოტის თერაპონტე გოლოვატის აზრი. „არა სიმდიდრე და წარჩინებული წარმოშობა, არამედ პატიოსანი, კეთილსინდისიერი შრომა ფასდება ჩვენს ქვეყანაში. კაპიტალი კი არ ჰქმნის სახელს, არამედ შრომა"[6]), — სწერს იგი. თვითონ მისი ცხოვრება წარმოადგენს ამ სიტყვების ნათელ მაგალითსა და დადასტურებას. პატიოსანი, ალალი შრომით, პატრიოტული შრომით გახდა იგი ცნობილი და პატივსაცემი პიროვნება მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. ახლა გოლოვატი — ეს უბრალო სარატოველი კოლმეურნე გლეხი—ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრია და ხელმძღვანელობს უძლეველი საბჭოთა ქვეყნის უმაღლესი ორგანოების არჩევნებს. აი ნამდვილი საბჭოთა დემოკრატიის შედეგი.

თავისუფალი შრომის გარეშე არც შეიძლება ლაპარაკი ადამიანის თავისუფლების შესახებ საერთოდ. კარგად სთქვა პოეტმა:

„ბორკილაწყვეტილ შრომის გარეშე
მხოლოდ მონობა და ღალატია,
ამას უმზობს კაცობრიობას
განახლებული ქვეყნის ქარტია".

საბჭოთა ადამიანების თავისუფალი შრომა სასწაულებს ახდენს ჩვენს ქვეყანაში. ცნობილია ის უმაგალითო შრომითი გმირობა, რომელიც საბჭოთა ხალხმა სამამულო ომში გამოიჩინა. საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობისა და თავდადების საფუძველი პირველყოვლისა სოციალისტურ დემოკრატიზმში უნდა ვეძიოთ.

ვ. ლენინი, ადარებდა რა საბჭოთა და ბურჟუაზიულ დემოკრატიას, აცხადებდა: „ვერც ერთი ხელისუფლება ქვეყანაზე ვერ გამოვა, ვერ გაბედავს გამოვიდეს შეჯიბრებაში ჩვენს ხელისუფლებასთან ნამდვილი თავისუფლების, თანასწორობის, დემოკრატიის საკითხში"[7]). ყოველ საბჭოთა მოქალაქეს შეუძლია ამით იამაყოს!

**ვ. ესაიაშვილი.**

[1]) ლენინი, რჩ. ნაწერები ტ. IV, გვ. 118.

[2]) სტალინი. „ლენინიზმის საკითხები", 11 გამოცემა, გვ. 644.

[3]) „ლენინი და სტალინი ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შესახებ", გვ. 111.

[4]) ციტირებულია ლ. პ. ბერიას წიგნიდან „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", მე-5 გამოცემა, გვ. 64.

[5]) ლენინი, რჩეული ნაწერები, ტ. IV, გვ. 113.

[6]) გოლოვატის სტატია „საბჭოთა გლეხის სიტყვა", გაზეთი „იზვესტია", 1945 წ. 3 ნოემბერი.

[7]) ლენინი, ტ. XXIV, რუს. გამ., გვ. 405.



# შუქი პატარა სახლისა

ქართლის გული, ქალაქი გორი!

მხოლოდ მტკვარმა და ლიახვმა იცის როდის გაშენდა ქალაქი გორი, ეს უძველესი ციხე-ბურჯი საქართველოსი.

უძველეს წიგნებს, ჩანაწერებს, მემატიანეთ არ გააჩნიათ ზუსტი ცნობა ქალაქ გორისა, არავინ იცის ამ ქალაქის დღე პირვანდელი!

სანაცვლოდ თვითონ გორი არის ბევრის მხილველი, მომსწრე მრავალი ქალაქის და ციხე-კოშკის აშენებისა.

მგზავრებს შორეულ ქვეყნებისას როს გაუვლიათ ბაღებით შემკულ ქართლის გულში—გაოცებულან,—იმათ თვალს სჭრიდა ელვარება გორის ბაღისა, მათ აკვირვებდა ძნელმისასვლელი გორის ციხე თავის სიმტკიცით, მრავალზე მრავალ, მტრის თვალისათვის შეუმჩნეველ სათოფურებით; და შინ მისულნი ზღაპარივით იტყოდნენ ხოლმე, გორის ამბავს სპარსელები, ინდოელები, უფრო შორეულ ქვეყნის მკვიდრნიც—ქართლში ნამგზავრნი.

მოჭრილან ქართლში დამპყრობელნი, ხშირად მოჭრილან, დაურბევიათ დედაფუძე ქართლის გულისა, გადაუკაფავთ ვენახები და ხილნარები, ხანძრად ქცეულან შნოიანი ქართლის სოფლები, მაგრამ არასდროს არ გამტყდარა გული ქართლისა, არ შერყეულა სიდიადე გორის ციხისა, სიცოცხლე ისევ ფეხს იდგამდა ქართლში თანდათან, ისევ ღვიოდა ნაღვერდალი გლეხის კერაზე—ახალ სიცოცხლის დაბრუნების მაუწყებელი.

მოჭრილა ქართლში ჯალალ-ედინი, თემურ-ლანგი და შაჰ-აბაზი,—და გორის ციხის კედლებს ახსოვს დიდი ბრძოლები, შემართება ქართველებისა; და თუმცა ბევრჯერ მიაყენეს გორის ციხეს დიდი ზიანი,—ის კვლავ აღმდგარა ქართველების მადლიან ხელით. მეფე ერეკლეს, სააკაძეს, ქართლელ ვაჟკაცებს არ მოუკლიათ გულისყური გორის ციხისთვის,—მათ უფრო მტკიცედ ამოჰყავდათ ციხის კედელი, რომ უცხო დამპყრობთ არ შესძლებოდათ დამკვიდრება საქართველოში.

• • •

გორს ორ ნაწილად ჰყოფს მდინარე მტკვარი, ბურეთის მთები სამხრეთიდან ეკვრიან ქალაქს, აღმოსავლეთით გუშაგივით ამართულა კვერნაკის ქედი, ჩრდილო-დასავლით ვერცხლისფერი ლიახვი საზღვრავს.

ქართლის გული—ქალაქი გორი!

მოსულის თვალი სადგურშივე იგრძნობს სიახლეს, სადგურიდანვე დაინახავ გორის ციხეს ამაყად აღმართულს. როცა მდინარე მტკვარს გადაივლი და ქალაქის ცენტრალურ ნაწილში შეხვალ თვალს იტაცებს მთელი წყება ახალი შენობებისა. ლენინის ქუჩით მიხვალთ ციხემდის, მაგრამ ვიდრე იქამდის მივა აღელვებული, ხელმარჯვნივ წავა, რათა იხილოს უპირველესი ადგილი დედამიწისა—

ალიზით ნაშენი პატარა სახლი!

ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან მოსულან აქ, რათა საკუთარ თვალით იხილონ—

ალიზით ნაშენი პატარა სახლი.

და ყველა მოსულს აოცებს სისადავე ამ პატარა სახლისა.

ეს ადგილი ქალაქის გარეუბანი იყო მაშინ. აქ, სიმყუდროვეში ურწევდა ქართლის დედა აკვანს ოჯახის იმედს, ნაზის ხმით უგალობდა ძილისპირულს. ახლაც არის აქ ის მოხატული სკივრი, უბრალო ტახტი და თახჩა.

იმ დროინდელი გარეუბანი ქალაქ გორისა — მივიწყებული, მოუკირწყლავი ქუჩაბანდები—როგორის სიდიადით შემკულა ახლა, შუქდაფენილა ჩაუმქრალი დიდი ნათელით.

იმდროინდელი გარეუბანი ქალაქ გორისა—აქ ხელოსნები სახლობდნენ უფრო, ვინც სარჩოს მხოლოდ საკუთარის ოფლით იძენდა, აქ იშვიათად გაივლიდა ამილახვარი, —

ახლა ქვეყნის თვალისთვალად გადაქცეულა, ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან მოისწრაფვიან, რომ საკუთარის თვალით იხილონ ეს უბანი—უპირველესი ადგილი დედამიწისა და ამ უბანში უპირველესი—

ალიზით ნაშენი პატარა სახლი!

• • •

უხმაუროდ მოვიდნენ ისინი ამ სახლთან.

შუქგამორთული იყო ქალაქი გორი. შემოდგომის მშვიდი, ულიმლამო ღამე იყო. ციმციმებდნენ ცაზე მიყრილი ვარსკვლავები. სიჩუმეში ისმოდა მტკვრისა და ლიახვის ტალღების შრიალი. დევივით ამართულიყო გორისციხე ბნელში.

ესენი გათენებამდის დასტოვებენ ქალაქ გორს, კავკასიონის უღელტეხილისაკენ გაემართებიან.

თანდათან გროვდებიან მეომრები. ქალაქის ქუჩებში მათი მწყობრი ნაბიჯების ხმა ისმის. და როცა ამ სახლთან მივლენ, მათ გულში ღვივდება სხივი გამარჯვებისა.

დივიზია გამწკრივდა სახლის წინ.

მწყობრში დგანან მტერთან შესარკინებლად მიმავალი ვაჟკაცები, საქართველოს ყველა კუთხის რჩეული ჭაბუკები. მათ შორის ბევრია გორის მკვიდრი, მეჯუდისპირის, ნადარბაზევის, ბერბუკის, ოხერასა და კარალეთის დევ-გმირები, ტყვიავისა და ატენის შავტუხა ბიჭები. ისინი მტრობას ანანებენ მტერს, ჭალარა კავკასიონს კალიასავით რომ შემოესივნენ და საქართველოს წაუპოტინეს სისხლიანი ხელი.

დაუბერა ბურეთის მთიდან მსუბუქმა ქარმა და შეშრიალდნენ ჩვენი დროშები, ელვარე, ალისფერი ჩვენი დროშები.

მეომართ გარს ეხვევა ხალხი, ხმიანობს გორი, რჩეულ ბიჭებს აგზავნის ომში.

მჭექარე ხმამ შეარხია ღამის სიბნელე. ერთი მებრძოლი აიმართა ხალხის წინაშე, უბრალო სიტყვით გამოხატა გულისწადილი მებრძოლებისა და ყველამ ერთხმად გაიმეორა ფიცის სიტყვები!

ბელადის მიმართ თქმული სიტყვა არასოდეს არ გატყდება.

მათ დაიფიცეს—სამშობლოსათვის თავს გასწირავენ, ასახელებენ ხალხის იმედს, რომლის აკვანი აქ დაირწა თავდაპირველად. მიდიან ომში — მიმოლეწონ მტერთა ლაშქარი, უკუაქციონ ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილი დამპყრობლები.

დადგა წუთი გამგზავრებისა, გამოთხოვების გამოუთქმელი წუთი ჩამოდგა!

გადაეხვივნენ მებრძოლები დებსა და დედებს, ცოლსა და ბავშვებს და შემდეგ ისევ იმ მებრძოლის ხმა რომ გაისმა, წუთისუმალვე მწყობრში ჩადგნენ შორს მიმავალნი, მეწინავე დროშა აღმართეს, მტკიცე ნაბიჯით გაემართნენ ჩრდილოეთისკენ.

ცისკრის ვარსკვლავი ჯერ არ ამოსულა, ისევ ბნელშია გახვეული კვერნაკის ქედი, ბურეთის მთები, მაგრამ ნათელი ცამდის არის თითქოს მისული — ეს, ამ სახლიდან აიმართა ნათელი სხივი და იგი გზას უნათებს იმ ვაჟკაცებს, რომელთაც ახლა გაიარეს ქალაქი გორი.

ყველგან ბრწყინავს ალიზით ნაგები პატარა სახლის დიადი სხივი!

• • •

ყველგან იბრძოდნენ გორის მკვიდრნი, გორში გაწრთვნილნი.

ბევრი მათგანი შეუპოვრად იცავდა ლენინის ქალაქს, გმირულ სტალინგრადს, ბევრი იბრძოდა სევასტოპოლში.

თერგის სანაპიროზე, ქალაქ კავკავთან, მამისონის უღელტეხილზე გორელ ვაჟკაცებს მტერი მრავლად მოუთიბიათ, ხშირად ხელდახელ მიჭრილან მომხდურთან და ვაჟკაცური მათი ხმალი მტრისთვის პირდაპირ გულში უძგერებიათ.

ადრევე გაითქვა სახელი მეჯუდისპირელმა ბაგრატ ზუმბულიძემ.

მისმა ავიაესკადრილიამ სევასტოპოლისათვის ბრძოლებში იმარჯვა განსაკუთრებით და ზუმბულიძის ესკადრილიას კიდევაც მიაკუთვნეს „სევასტოპოლის“ სახელი.

სტალინგრადიდან—ბერლინამდის, აი, საბჭოთა კავშირის გმირის პოდპოლკოვნიკ ბაგრატ ზუმბულიძის სახელოვანი ბრძოლების გზა.

ჰაერში რამდენჯერ შებმია მეჯუდისპირელი ვაჟკაცი სიკვდილს, რამდენჯერ გადაუხდია უმაგალითო ორთაბრძოლა. იგი ამარცხებდა მტერს, ამარცხებდა სიკვდილს.

რიგითი კოლმეურნე იყო უფლისციხელი სოკრატ გალუსტაშვილი. ჯარში გაწვევის შემდეგ მალე გახდა მეტყვიამფრქვევე. მტერთან პირველსავე შერკინებისას ისახელა თავი.

ეს მოხდა ახალ გათენებულზე. გალუსტაშვილის ტყვიამფრქვევი შენიღბული იყო ფრონტის წინაკიდეზე. უცებ, მოულოდნელად მტერი გადმოვიდა შეტევაზე. ოთხი მებრძოლი უნდა გამკლავებოდა ორასამდე გერმანელს, რომელთაც ტყვიამფრქვევთან ერთად ნაღმსატყორცნიც ჰქონდათ. მეომარმა აცნობა ნაწილის უფროსს და ითხოვა მაშველი ძალა. გერმანელები დარწმუნდნენ, რომ ამ უბანზე არ იყვნენ საბჭოთა ჯარები და სრულიად თამამად გამოემართნენ სწორედ იმ ადგილისაკენ, სადაც მეტყვიამფრქვევე თავისი სამი მებრძოლით იყო ჩასაფრებული... მაშველ ძალას აგვიანდებოდა...

უკვე ასიოდე ნაბიჯზე მოვიდა მტერი და გალუსტაშვილმა გახსნა ცეცხლი. გერმანელები სასწრაფოდ გაწვნენ მიწაზე, მათ გარკვევით დაიგულეს მარტო ერთი ტყვიამფრქვევი და უმალვე განაახლეს შეტევა. ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი გააჩაღეს. ჯერ დაიჭრა გალუსტაშვილის სამი მებრძოლი, ხოლო შემდეგ სამივე გამოვიდა მწყობრიდან.

პირისპირ დარჩა ქართველი ვაჟკაცი მტრის რაზმეულთან და მაინც არ დაიბნა—როდესაც გერმანელები სულ ახლოს მოვიდნენ, ისევ გრიგალისებური ცეცხლი გააჩაღა მეომარმა... მოვიდა მაშველი ძალა. მტერი უკუაქციეს!

სახელოვან მეტყვიამფრქვევეს ერთად ერთი ტყვია ჰქონდა დარჩენილი.

მებრძოლებმა ფრონტის ხაზზე, გალუსტაშვილის ტყვიამფრქვევიდან ოცდაათი ნაბიჯის დაშორებით ასი მკვდარი და ოცდაათი მძიმედ დაჭრილი გერმანელი დათვალეს.

ასახელა თავისი მშობელი კუთხე გორელმა ვაჟკაცმა. საბჭოთა კავშირის გმირად დაბრუნდა გალუსტაშვილი.

ასეთი მებრძოლები იყვნენ იმ სამახსოვრო ღამით, ფიცი რომ დადვეს ბელადის სახლთან.

• • •

გორის რაიონის განაპირა სოფელია მექვაბიანთუბანი. ის სამხრეთ-ოსეთის საზღვართანაა გაშენებული.

ამ სოფლის კოლმეურნეობას „მაგალითი“ ჰქვია და კოლმეურნეობა მართლაც სამაგალითოა მთელს რაიონში.

მათ ხორბალიც ხვავრიელად მოჰყავთ და ჭარხალიც. ვაზიც შესანიშნავი აქვს „მაგალითს“.

თითქმის ყველა ოჯახიდან წავიდა თითო მებრძოლი ფრონტზე. ორასი კომლია „მაგალითში“ გაერთიანებული და ორასი ჭაბუკი წავიდა მტრის შესამუსრავად მექვაბიანთუბნიდან. სოფელში როდი შეაფერხეს მუშაობა:

ახალი მარანი ააგეს და მწკრივად ჩაჰყარეს ას-ას ფუთიანი ქვევრები, წყალსადენი გაიყვანეს სოფელში და ყოველ მოსახლეს ეზოში აქვს ამოყვანილი წყაროსწყალი, გაამრავლეს ხარ-კამეჩი. მიწის ახალი ნაკვეთები მოხნეს და დათესეს. ერთ ჰექტარ მიწაზე ორასორმოცი ცენტნერი ჭარხალი მოიყვანეს.

ნიკოლოზ გიგოლაშვილი და ეგნა ნარიკაშვილი შეაქო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ — ლენინის ორდენოსანმა ალექსანდრე ბერაშვილმა. მათი ბრიგადები ყოველთვის პირველობენ. სადაც კი მათი ხელი დატრიალდება, იქ საქმე თავის რიგზეა. შემოწმება არ სჭირდება მათ მიერ მოხნულსა და დათესილს, დამუნილსა და მოთიბულს.

უყვართ შრომა მექვაბიანთუბნელებს. ბარაქიან ქართლის მიწაზე მოწეული ჭირნახულით სავსეა მათი ბეღლები. სოფელში კარგი გზებია, მტკიცედ არის ნაშენი სახლები, სკოლის ისეთი კარგი შენობა აქვთ, რომ ბევრ ქალაქსაც დაამშვენებს.

შრომის შემდეგ კარგი ლხინი იციან მექვაბიანთუბნელებმა. მათ ბლომად აქვთ საკუთარი ღვინო, ძაგრამ ომიანობის დროს ერიდებოდნენ ლხინს, იშვიათად მოხდიდნენ ქვევრებს—ფიქრში ათენებდნენ ღამეს ფრონტზე წასულთა დედები და მამები. ახლა კი, როცა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი დევ-გმირები დაბრუნდნენ მექვაბიანთუბანში—ლხინია გაჩაღებული.

მღერიან მექვაბიანთუბნელები, ჩვენი გამარჯვების სიმღერებს მღერიან. სიხარულის სხივმა შემოაშუქა სახლებში. მათ სახლებში არასოდეს გამოილევა სიხარული!

• • •

დღითი დღე იზრდება ქალაქი გორი, მისი მრეწველობა და კულტურა.

გორის საკონსერვო ქარხანა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწარმოა. მის მუშებსა და ინჟინრებს ისე აქვთ მუშაობა აწყობილი, რომ ამ უკანასკნელ წლებში არასოდეს ყოფილან ჩამორჩენილი. როცა საჭიროებამ მოითხოვა, ქარხანამ სულ მცირე დროის განმავლობაში დაამზადა სპეციალური საჭურველი კავკასიის დამცველთათვის.

პედაგოგიური ინსტიტუტი, სახელმწიფო ქართული დრამა, კინოთეატრი, ქალთა და ვაჟთა სკოლები, მრავალი სპეციალური სასწავლებელი, მუზეუმი, სასტუმროს, ბანკის, საავადმყოფოს, კულტურის სახლის ახალი შენობები—აი, სახე ახლანდელი გორისა.

დიდი ქალაქის ცხოვრებით ცხოვრობს ქალაქი გორი.

და განა მარტო ქალაქში არიან დაწაფებული სწავლასა და კულტურულ ცხოვრებას?

ასოცდახუთმეტი სკოლაა გორის რაიონის სოფლებში. ცამეტი ათასი ქალ-ვაჟი სწავლობს ამ სკოლებში.

კლუბები, სამკითხველოები, მომღერალთა გუნდები და სცენისმოყვარეთა წრეები—აი, ახლანდელი ქართლის სოფელი. ყოველ სოფელში მოდის ჟურნალ-გაზეთები. თავადაც უშვებენ კედლის გაზეთებს, სადაც აღწერენ თავიანთი სოფლის ნამდვილ ამბავს:

კარალეთში დაბრუნდა მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი ვახტანგ თედლიაშვილი. სოფლის კედლის გაზეთში მოთხრობილია მისი სახელოვანი ბრძოლები, პირველი დაჯილდოება, გმირთან შეხვედრა, მისი ჩამოსვლით გამოწვეული ზეიმი სოფლად.

დიდის ხალისით კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს ქართლელი კოლმეურნენი, გუნდში მღერიან, თამაშობენ კლუბის სცენაზე, შრომობენ მეტის სიხალისით და გატაცებით.

• • •

... დამახსოვდა ტანსაცმელი, რომელშიც იოსებ ჯუღაშვილი ზამთარში გაჩნდა სკოლაში—ცისფერი პალტო, ჩექმები, ნაბდის ქუდი, რუხი მოქსოვილი ხელთათმანები, განიერი წითელი შარფი. ჩვენ მოგვწონდა ამ შარფის ღია ფერი.

იოსები სკოლაში დადიოდა მხარზე ჩამოკიდებული წითელი ჩანთით. სიარული მტკიცე, გამომეტყველება—ცოცხალი, იყო მკვირცხლი, გულმხიარული...

გულმხიარული... მკვირცხლი! წითელი შარფი, წითელი ჩანთა!

ეს სურათი აღსდგება თვალწინ გორის მიწას ფეხს რომ შეახებ. რა კარგად ახსოვს სკოლის ამხანაგს დიდი ბელადის ბავშვობის სახე!

საქართველოს დედა-მდინარე, ჩვენი მტკვარი, ჩვენი ლიახვი! ლიახვის ნაპირებს ეტანებოდა ჭაბუკი უფრო, უყვარდა მისი შხეფიანი მარდი ტალღები. და ბევრჯერ მიუყვანია მას ტოლ-მეგობრები ლიახვის ნაპირებთან, ბევრჯერ გაუცურავს ლიახვი მხარულით.

გორის ციხიდან ხელისგულივით სჩანს ლიახვისა და მტკვრის ნაპირები. ახლოს იყო მისი სახლი გორის ციხესთან. ხშირად ჭაბუკი სულმოუთქმელად აირბენდა გორის ციხეზე, წვერზე მოექცეოდა უმაღლეს კედელს და სიყვარულით დასცქეროდა ორი მდინარის, უსაყვარლესი ორი მდინარის ლამაზ ნაპირებს.

ბავშვობის წლები.

მან თავიდანვე გაუსწორა თვალი სინამდვილეს, — როგორც შეეძლო ეხმარებოდა ტოლ-ამხანაგებს და ბოროტების მიმართ იყო შეურიგალი.

მშობლიური პატარა კუთხის სიყვარული, დიდი სითბო პატარა სახლისა მას ყველგან გაჰყვა.

როცა ბათუმის ციხეში იჯდა, როცა ირკუტსკის მიყრუებულ სოფელში მარტოდ იყო კარდაკეტილი—მუდამ ახსოვდა პატარა სახლი გორის ციხესთან, დედის ნანინა ესმოდა ტკბილი, შორით ართობდა ლიახვის და მტკვრის ნაპირები.

როდესაც თავი დააღწია გადასახლებას, მცირე ხნით ინახულა სახლი.

ბავშვობის წლები გაახსენდა შინ დაბრუნებულს. ატენი... ტყვიავი... ლადო კეცხოველი. მომღერალთა გუნდი სკოლაში, ჭიდაობა და ცურვა ლიახვში.

თბილია ყრმობის გახსენება. ცოცხლდებიან მღელვარე და მხიარული დღეები:

წიგნების ჩანთა... წითელი შარფი... დედაენა...

• • •

დიდი ომის ქექა-ქუხილში მღელვარე იყო ცხოვრება გორში.

როცა რადიოთი გადმოსცემდნენ უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებს, ამ სახლის კედლებთან იკრიბებოდნენ, სულგანაბული უსმენდნენ გორელები ბელადის სიტყვებს — დიდი ბელადი აქებდა მებრძოლთ, რომელნიც ვაჟკაცურად იცავდნენ სამშობლოს, დიდი ბელადი აქებდა მშრომელთ, ვინც ზურგში გარჯით აახლოვებდა მტერზე გამარჯვებას.

და ყოველდღე იკრიბებოდნენ ამ სახლის კედლებთან, ყოველდღე ისმოდა დიქტორის ნაცნობი ხმა, რეკდნენ კრემლის კურანტები, ახალ-ახალ გამარჯვებებს ულოცავდა მთავარსარდალი ჯარს.

ცხრა მაისის უჩვეულო დილაც გათენდა, დალცვარული, ცხრა მაისის ელვარე დილა, მზის სხივებით შუქდაფენილი.

უნეტარესი დღე გათენდა ჩვენს სამშობლოში.

დიდმა ბელადმა მიულოცა ხალხს გამარჯვება.

ამ სახლის ირგვლივ ვერ დაეტიენ გორში მცხოვრებნი,—გორის ქუჩები გაიჭედა ხალხით და ყველგან ალისფერი დროშა აღმართეს, ბელადის სახლის სახურავზე, გორის ციხეზე ფრიალებდა დროშა წითელი, სტალინის დროშა!

როგორი დინჯი, რა ნათელი, გულში ჩამწვდომი მისი სიტყვები გაისმოდა კიდითკიდემდის!

და იდგა ხალხი, იბეჭდავდა გულში ყოველ სიტყვას ბრძენისას, რომლის აკვანი აქ დაირწა თავდაპირველად.

საღამოთი კი როცა დასჭექეს ქვემეხებმა უდიდესი გამარჯვების აღსანიშნავად და მრავალ ფერში აელვარდა კრემლის კედლები, კრემლის ვარსკვლავთა შუქი დაადგა მტკვარს და ლიახვსაც, გორის ციხეს, —

კრემლის ვარსკვლავთა შუქით განათდა

ალიზით ნაშენი პატარა სახლი!

**ალიო ადამია**



ქალაქი გორი—ლენინის პროსპექტი.

# მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

## 13 დეკემბრის დილის სხდომა

ათწუთიანი შესვენების შემდეგ ბრალმდებელი დოდი ტრიბუნალს წარუდგენს დოკუმენტებს ფაშისტების მიერ საკონცენტრაციო ბანაკების გამოყენების შესახებ. ბრალმდებელი აცხადებს, რომ საკონცენტრაციო ბანაკები გერმანიაში იყო ჰიტლერული რეჟიმის ერთ-ერთი იარაღი, რომლის საშუალებითაც ჰიტლერელები განამტკიცებდნენ თავიანთ ძალაუფლებას და თავზე ახვევდნენ გერმანელ ხალხს თავის იდეოლოგიას. საკონცენტრაციო ბანაკები იყო აგრეთვე ერთ-ერთი ძირითადი იარაღი, რასაც ჰიტლერელი შეთქმულნი იყენებდნენ მოკავშირე ქვეყნების ხალხთა წინააღმდეგ დანაშაულთა ჩადენისათვის. ფაშიზმის მსხვერპლნი პატიმრობაში იმყოფებოდნენ გაუსამართლებლად და პატიმრობის ვადის განუსაზღვრელად.

მას შემდეგ რაც ჰიტლერი კანცლერი გახდა, ამბობს ბრალმდებელი, ფაშისტმა შეთქმულებმა 1933 წლის 28 თებერვლის საგანგებო დეკრეტით მოსპეს სამოქალაქო თავისუფლება. ეს დეკრეტი უფლებას იძლეოდა ეგრეთწოდებული პრევენტიული პატიმრობისას, უფლებას აძლევდა გესტაპოს დაეპატიმრებინა და პატიმრობაში ჰყოლოდა ადამიანები სასამართლო ძიების გარეშე.

ბრალმდებელი იმოწმებს მოწმე გერჰარდ სიგარის წერილობით ჩვენებას და ამტკიცებს, რომ ჰიტლერელები ჯერ კიდევ ხელისუფლების სათავეში ჩადგომამდე, საკონცენტრაციო ბანაკებს განიხილავდნენ როგორც ოპოზიციური ელემენტების განადგურების საშუალებას.

შემდეგ ბრალმდებელი ამტკიცებს, რომ საკონცენტრაციო ბანაკები იყო ებრაელ მოსახლეობასთან ანგარიშის გასწორების ერთ-ერთი იარაღი.

აგრესიის გაჩაღების შემდეგ, ჰიტლერელებმა ოკუპირებულ ქვეყნებში გადაიტანეს ტერორის მთელი სისტემა.

საკონცენტრაციო ბანაკებში სამხედრო ტყვეების დაპატიმრების დასამტკიცებლად, ბრალმდებელს მოჰყავს ნაწყვეტი ოფიციალური მოხსენებიდან 1941 წლის 21 ივნისს ამერიკის მესამე არმიის შტაბის მიერ ფლოსენბურგის საკონცენტრაციო ბანაკის გამოკვლევის შესახებ. ამ მოხსენებაში ნათქვამია, რომ 1941 წელს შეიქმნა ახალი კორპუსი ფლოსენბურგის ბანაკში, რომელიც გათვალისწინებული იყო ორი ათასი საბჭოთა ტყვესათვის. ამ ორი ათასი ტყვედან ცოცხალი დარჩა მხოლოდ 102 კაცი. შემდეგ ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ფლოსენბურგის მსხვერპლთა შორის იყვნენ საბჭოთა სამოქალაქო პირები და სამხედრო ტყვეები, აგრეთვე იტალიელები, ბელგიელები, პოლონელები, ჩეხები, უნგრელები, ინგლისელები და ამერიკელი სამხედრო ტყვეები. ბანაკის ამ მსხვერპლთა სიის შედგენა შეუძლებელი იყო, ვინაიდან 1938 წლის მისი დაარსების მომენტიდან განთავისუფლების მომენტამდე, როგორც ფიქრობენ, დაიხოცა 29 ათასზე მეტი პატიმარი.

იმ სამხედრო ტყვეებს, რომლებიც გაქცევას შეეცდებოდნენ, აგზავნიდნენ საკონცენტრაციო ბანაკში, რომელიც სპეციალურად შექმნილი იყო ადამიანების მოსასპობად. ერთ-ერთი ასეთი ბანაკი იყო მაუტჰაუზენის ბანაკი.

აგრესიული ომის განვითარებასთან ერთად ჰიტლერელები მთელს ევროპაში ქმნიდნენ საკონცენტრაციო ბანაკების ხშირ ქსელს.

ბრალმდებელი უჩვენებს ტრიბუნალს დიდ რუკას, რომელზედაც აღნიშნულია ევროპაში საკონცენტრაციო ბანაკების განლაგება. მეტი წილი ამ ბანაკებისა იმყოფება თვით გერმანიის საზღვრებს შიგნით. თვითეული დიდი ბანაკი გარშემორტყმულია ფილიალების ჯგუფით.

დასასრულ ბრალმდებელი ტრიბუნალის ყურადღებას მიაქცევს იმას, თუ რა დამცირებას განიცდიდნენ პატიმრები ამ ბანაკებში.

ამით დამთავრდა 13 დეკემბრის დილის სხდომა.

## 13 დეკემბრის საღამოს სხდომა

**ნიურნბერგი**, 13 დეკემბერი. (საკდესი). 13 დეკემბერს ტრიბუნალის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდების ამერიკელი წარმომადგენლის დოდის გამოსვლა. მან დაამოწმა და ტრიბუნალის ოქმებს დაურთო დოკუმენტები, რომლებიც ახასიათებენ მდგომარეობას ფაშისტების მიერ შექმნილ საკონცენტრაციო ბანაკებში. ამ დოკუმენტების ნაწილი შეადგინეს ამერიკის იმ არმიათა სამხედრო-იურიდიულმა საგამომძიებლო ორგანოებმა, რომლებსაც ეკავათ რაიონები, სადაც საკონცენტრაციო ბანაკები იყო. სათანადოდ დამოწმებული ეს დოკუმენტები დაერთო სასამართლოს ოქმებს.

ბრალმდებელმა მოიყვანა ციტატი ამერიკის მე-3 არმიის სარდლის განკარგულებით შედგენილი დოკუმენტიდან, რომელიც აწერს, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ ფლოსენბურგის საკონცენტრაციო ბანაკის პატიმრები. ამ დოკუმენტში ნათქვამია: „მუშაობა ამ ბანაკში უმთავრესად სწარმოებდა მიწის ქვეშ მიწისქვეშა ფაბრიკების აგების მიზნით და სხვა. მიწის ქვეშ ანტისანიტარულ პირობებში მუშაობამ, პატიმრებისადმი მხეცურმა მოპყრობამ, აუტანელმა საბინაო პირობებმა ის გამოიწვიეს, რომ აქ დღეში ას-ასი პატიმარი იხოცებოდა. ობერშტაუბლინგის საკონცენტრაციო ბანაკში 1945 წლის თებერვალში მიიყვანეს 700 პატიმარი, ხოლო 1945 წლის 15 აპრილისათვის სულ 405 იყო ცოცხალი. ფლოსენბურგის განთავისუფლების წინა 12 თვის განმავლობაში დაიხოცა 14.739 მამაკაცი და 1.030 ქალი. ეს ციფრები არ შეიცავენ სიკვდილით დასჯილთა რიცხვს. 1941 წელს ამ ბანაკში ორი ათასი რუსი იყო. მათგან ცოცხალი გადარჩა სულ 102 კაცი. ფლოსენბურგის საკონცენტრაციო ბანაკს შეიძლება სიკვდილის ფაბრიკა დაერქვას. ამ ბანაკის შექმნის მიზანი იყო არა მარტო მონური შრომის გამოყენება, არამედ პატიმართა მოსპობაც. შიმშილი, სადიზმი, სამედიცინო მომსახურების უქონლობა, ცემა, ჩამოხრჩობა, გაყინვა, თვითმკვლელობის წაქეზება, დახვრეტა და სხვა ამ მიზნის მისაღწევი მთავარი საშუალება იყო. საწამლავის შეშხაპუნება და დახვრეტა ყოველდღიური მოვლენა გახდა. ტიფისა და ციების ეპიდემია უდიდესი სისწრაფით ვრცელდებოდა და არავინ არავითარ ღონისძიებას არ ხმარობდა მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ადამიანის სიცოცხლეს ამ ბანაკში არავითარი ღირებულება არ ჰქონდა. ტანჯვა-წამება იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რომ სწრაფი სიკვდილი არანორმალურ შემთხვევად მიაჩნდათ. 1944 წლის საშობაოდ ერთსა და იმავე დროს ბევრი პატიმარი ჩამოახრჩეს. სხვა პატიმრებს ჩამოხრჩობისათვის აყურებინეს. ამავე დროს იქვე გვერდით იდგა მორთული საშობაო ნაძვის ხე, და ერთ-ერთმა პატიმარმა სთქვა: „რა საშინელი კომბინაციაა —აქ სახრჩობელაა აღმართული, აქვე კი საშობაო ნაძვის ხე". მარტში თუ აპრილში ჩამოახრჩეს 13 ამერიკელი თუ ბრიტანელი პარაშუტისტი. ისინი ტყვედ ჩაიგდეს, როცა ხიდის აფეთქებას აპირებდნენ.

„ჰიტლერელების მიერ შექმნილი საკონცენტრაციო ბანაკების სისტემა, ხაზგასმით აღნიშნავს ბრალმდებელი, ღრმად მოფიქრებული გეგმა იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ჰიტლერული რეჟიმის მოწინააღმდეგეთა, აგრეთვე ეგრეთწოდებული „დაბალი რასების" წარმომადგენელთა მოსპობას.

ამავე დროს ეს სისტემა ემსახურებოდა სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ფაშისტური აგრესიის მომზადების მიზანს, რამდენადაც ამ საკონცენტრაციო ბანაკებში, ერთი მხრივ, სპობდნენ მშვიდობიანობის წინააღმდეგ ჰიტლერული შეთქმულების მოწინააღმდეგეთ, ხოლო, მეორე მხრივ, ეს საკონცენტრაციო ბანაკები მასობრივად აწვდიდნენ მონებს გერმანიის სამხედრო მრეწველობას. ამ საკონცენტრაციო ბანაკებში ადამიანთა მკვლელობასა და სხვა ხერხით გაჟლეტას იმდენად მასობრივი ხასიათი ჰქონდა, რომ ამაში ძნელია გამოვარჩიოთ ინდივიდუალური დანაშაული. ჰიტლერელები ყოველნაირად დახელოვნებული იყვნენ პატიმრების წამებაში.

ბრალმდებელს მოჰყავს დოკუმენტი, რომელიც დაწერილია სამხედრო ტყვის ანდრეას პფახენბერგერის ჩვენების მიხედვით. ამ ჩვენებაში ნათქვამია: „1939 წელს ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის ყველა პატიმარს, რომელსაც ტატუირება ჰქონდა, უბრძანეს ექიმთან გატარებულიყო რეგისტრაციაში. არავინ არ იცოდა, თუ რა მიზანი ჰქონდა ამ ბრძანებას. მაგრამ მას შემდეგ, რაც ტატუირებული პატიმრები რეგისტრაციაში გატარდნენ, ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც ყველაზე მხატვრული ტატუირება ჰქონდა, დისპანსირში წაიყვანეს და მოჰკლეს საწამლავის შეშხაპუნებით. ეს ჩაიდინა სისხლის სამართლის პატიმარმა კარლ ბეგსმა. კანის ტატუირებული ნაწილი პატიმარს ამოაცალეს და საგანგებოდ დაამუშავეს. კანის ტატუირებული ნაწილი გადაეცა სს-ელთა შტანდარტენფიურერის კოხის ცოლს, რომელმაც მისგან აბაჟური გააკეთა".

ამ მხეცობის დასამტკიცებლად ბრალმდებელმა ტრიბუნალს წარუდგინა ადამიანის ტატუირებული კანის ნაჭრები, აგრეთვე სს-ელთა ექიმების მიერ განსაკუთრებული საშუალებით შემცირებული თავი ჩამოხრჩობილი პატიმრისა. მინის ქილაში მოთავსებულ თავს მაგიდაზე დგამენ და ტრიბუნალს უჩვენებენ, როგორც ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთს.

ამის შემდეგ ბრალდების ამერიკელმა წარმომადგენელმა ტრიბუნალს წარუდგინა დოკუმენტები, რომლებიც შეეხებიან ჰიტლერელთა პოლიტიკას, რაც მიმართული იყო ებრაელთა გაჟლეტისაკენ. ბრალმდებელი ამტკიცებს, რომ ეს პოლიტიკა შეესაბამებოდა ჰიტლერული გერმანიის ხელმძღვანელთა თეორიულ და პოლიტიკურ პრინციპებს.

ჰიტლერელებმა ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე გამოსცეს ებრაელთა წინააღმდეგ მიმართული მთელი რიგი დეკრეტები. ყველა ზემოხსენებულ კანონს ხელს აწერდნენ გერინგი, ან ფრიკი, ჰესი ან ბორმანი, აგრეთვე ნოირატი. 1938 წელს, პარიზში გერმანელი მოხელის მოკვლის შემდეგ, ჰიტლერელებმა უდიდესი ანტისემიტური კამპანია დაიწყეს გერმანიაში.

ბრალმდებელი აღნიშნავს, რომ იულიუს შტრაიხერი, ჰანს ფრანკი, ჰენრიხ ჰიმლერი, რობერტ ლეი ჯერ კიდევ 1933 წელს შექმნილი ანტიებრაული ცენტრალური კომიტეტის წევრები იყვნენ. ბრალმდებელმა ტრიბუნალის ოქმებს დაურთო აგრეთვე როზენბერგის წიგნი სახელწოდებით—„მსოფლიო ბრძოლა. ებრაელთა საკითხი წარსულსა და აწმყოში". ბრალმდებელს მოჰყავს აგრეთვე ციტატი დოკუმენტიდან, რომელიც აღმოჩნდა როზენბერგის არქივში და რომელიც წარმოადგენს ბელორუსიასა და უკრაინაში ებრაელებისადმი მოპყრობის ინსტრუქციას. ეს ინსტრუქცია წინადადებას იძლევა შეიქმნას ებრაელთა გეტოები, შემოიღონ ებრაელთათვის ყვითელი სამკლაური, როგორც განმასხვავებელი ნიშანი, სრულიად განდევნონ ებრაელები საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, ჰგზავნონ ისინი იძულებით სამუშაოზე და სხვა.

ამით დამთავრდა საღამოს სხდომა.

## 14 დეკემბრის დილის სხდომა

**ნიურნბერგი**, 14 დეკემბერი. (საკდესი). ტრიბუნალის 14 დეკემბრის დილის სხდომის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო დაცვის გამოსვლებს ბრალდების წარმომადგენელთა მოქმედების წინააღმდეგ. კალტენბრუნერის დამცველი მოითხოვს გამოიწვიონ მოწმეები ტრიბუნალის სხდომაზე, სადაც დაცვას საშუალება ექნება მოახდინოს მათი ჯვარედინი დაკითხვა.

ამერიკის მთავარი ბრალმდებელი ჯექსონი ილაშქრებს ბრალდებულ კალტენბრუნერის დამცველის პრეტენზიების წინააღმდეგ. მისი სიტყვით, დაცვის პრეტენზიებს რომ დაეთანხმონ, პროცესი შეიძლება შეიდ წლიწადს გაჭიანურდეს, ვინაიდან ჰიტლერელების დანაშაულობათა მსხვერპლი არის მთელს ევროპაში გაბნეული მილიონობით ადამიანი. ჯექსონი იმოწმებს ტრიბუნალის წესდებას და აცხადებს, რომ ტრიბუნალი არ უნდა იყოს დაკავშირებული საპროცესო ხასიათის ტექნიკურ ფორმალობასთან.

საბჭოთა ბრალდების წარმომადგენელი გენერალი რუდენკო მხარს უჭერს ჯექსონის განცხადებას.

ინგლისის ბრალდების წარმომადგენელი ეთანხმება ჯექსონის მოსაზრებებს. საფრანგეთის ბრალდების წარმომადგენელი სრულ თანხმობას უცხადებს ჯექსონსა და რუდენკოს. შემდეგ განცხადებებით გამოდიან კალტენბრუნერის, ბორმანისა და პაპენის დამცველები. ტრიბუნალის თავმჯდომარე აღუთქვამს დაცვის შუამდგომლობის განხილვას.

ამის შემდეგ ამერიკის ბრალდების წარმომადგენელი მაიორი უოლში განაგრძობს ევროპაში ებრაელი მოსახლეობის წინააღმდეგ ფაშისტების დანაშაულობათა მხილებას. მას მოჰყავს ციტატები ფრანკის დღიურიდან. რომელშიც 1942 წლის 24 აგვისტოს ჩაწერილ იქნა: „ჩვენ დამშევით სიკვდილი მიუსაჯეთ 1.200 ათას ებრაელს". შემდგომი დოკუმენტები რაც ბლომად მოჰყავს ბრალმდებელს, ცხადჰყოფენ, თუ სად და რა მეთოდებით მოჰქონდათ ჰიტლერელებს სისრულეში ეს განაჩენი.

მაგრამ საქმე შიმშილით როდი განისაზღვრებოდა. ბრალმდებელი კითხულობს დოკუმენტს, რომელიც ცხადჰყოფს, რომ ჰიტლერმა ბრძანება გასცა მოესპოთ ვარშავაში ებრაელთა გეტო. ამ ბრძანების შესაბამისად სს-ელთა რაზმებმა, უშიშროების პოლიციამ და უშიშროების სამსახურმა მოსპეს პოლონეთის დედაქალაქის მთელი დიდი რაიონის ებრაელი მოსახლეობა.

ბრალმდებელი უოლში განაგრძობს ჰიტლერელ შეთქმულთა მიერ ებრაელთა გაჟლეტის შესახებ მასალის წარმოდგენას და ამბობს, რომ ფაშისტებისათვის ყოველთვის როდი იყო საჭირო და სასურველი გეტოში ებრაელების მოთავსება. ისინი აწიოკების უფრო პირდაპირ და მოკლე ხერხს მიმართავდნენ. ბრალმდებელმა ტრიბუნალს წარუდგინა სს-ელთა ანგარიში კაუნასში რბევის მოწყობის შესახებ. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ ერთ ღამეს მარბეველებმა კაუნასში მოსპეს 1.500 კაცი და დაანგრიეს 60 სახლი. შემდეგ ღამეს მოსპობილ იქნა კიდევ 2.300 კაცი. ჰიტლერელები ასევე მოქმედებდნენ მთელ ლიტვაში, ლატვიაში და მათ მიერ ოკუპირებულ სხვა რაიონებში. მაგრამ, განაგრძობს ბრალმდებელი, ჰიტლერელთა ზნედაცემულობა ყველაზე უფრო ძლიერ გამომჟღავნდა „გაზვაგონების"—მასობრივი დახოცვის გაზის ავტომობილთა გამოყენებით.

ორი დოკუმენტი, რომლებიც მან დამამტკიცებელ საბუთად მოიყვანა, ამომწურავად ცხადჰყოფს, თუ რამდენად დეტალურად ჰქონდათ შემუშავებული ჰიტლერელებს ადამიანთა მოსპობის ამ მეთოდის ტექნიკა და ფსიქოლოგიაც კი.

შემდეგი დოკუმენტი, რომელიც ბრალმდებელმა ტრიბუნალს წარუდგინა, არის მინსკის საპყრობილის კომენდანტ გიუნტერის წერილი. ეს დოკუმენტი ჰიტლერელ დამპყრობლებს ახასიათებს როგორც სისხლის სამართლის მკვლელთა და მაროდიორებს. წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „მოქმედება ებრაელთა წინააღმდეგ", ნათქვამია: „1943 წლის 13 აპრილის შემდეგ უშიშროების სამსახურის სასამართლოს საპყრობილეში დახოცეს 516 რუსი და გერმანელი ებრაელი. ოქროს ნივთები პირში გამოუღეს ორი ოპერაციის საშუალებით. ებრაელთა დაახლოებით 60 პროცენტს ჰქონდა ოქროს კბილები, ხიდები და გვირგვინები. შტურმფიურერი ჰაუბი მუდამ პირადად ესწრებოდა ოპერაციებს და მიჰქონდა ოქრო".

ისევე დაუნდობლად, როგორც აღმოსავლეთში, აცხადებს ბრალმდებელი, ჰიტლერელები სპობდნენ ებრაელებს მთელს ევროპაში. დასამტკიცებლად ბრალმდებელმა ტრიბუნალს წარუდგინა ცნობა ჰოლანდიის მთავრობის ანგარიშიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ ჰოლანდიიდან ჰიტლერელებმა ძალით წაიყვანეს 117 ათასი ებრაელი.

ჰიტლერელმა შეთქმულებმა, ამბობს უოლში, გასაჟლეტად გასწირეს ებრაელები, მიუხედავად იმისა, გამოარჯვებდნენ ჰიტლერელები თუ არა. მას მოჰყავს რადომის ოლქის უშიშროების პოლიციის კომისარ ილმერის მიერ ვინმე ჰილისათვის გაგზავნილი წერილის ამონაწერი. წერილი წინადადებას იძლევა, რაც შეიძლება მკაცრად მოეპყრონ ებრაელებს. იგი რჩევას იძლევა მოკლე დაკითხვა მოახდინონ, შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნონ, ხოლო თუ ფრონტზე მერყევი მდგომარეობა იქნება, დახოცონ ყველანი და მოსპონ გვამები.

ბრალმდებელი უოლში ამთავრებს ამ ნაწილის მიხედვით მასალების წარდგენას და მოჰყავს ზოგიერთი ცნობა საკონცენტრაციო ბანაკებში ჰიტლერელების მიერ მოსპობილ ებრაელთა რაოდენობის შესახებ. მაგალითად, ოსვენციმში 1944 წლის ივლისში ჰიტლერელები ყოველდღიურად 12 ათას კაცს ხოცავდნენ. ამ საკითხებზე ყველაზე სრული სტატისტიკა ბრალდებამ აღმოაჩინა თვით ჰიტლერელთა დოკუმენტებში. უოლშს მოჰყავს ბრალდებულ ფრანკის დღიურის ნაწყვეტები. 1941 წელს ფრანკმა ჩასწერა, რომ საგენერალგუბერნატოროში არის 3.500 ათასი ებრაელი. პოლონეთში თავისი სამი წლის „მოღვაწეობის" შემდეგ ფრანკი თავის დღიურში აღნიშნავს, რომ საგენერალგუბერნატოროში მხოლოდ 100 ათასი ებრაელი დარჩა.

დასასრულ უოლშს მოჰყავს უშიშროების სამმართველოს უცხოეთის სექციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის დოქტორ ხეტელის წერილობითი ჩვენების ნაწყვეტი, რომელშიც ნათქვამია, რომ საკონცენტრაციო ბანაკებში ფაშისტებმა მოსპეს 4 მილიონი ებრაელი. 2 მილიონი ებრაელი მოსპობილია სხვა საშუალებებით.

ამით დამთავრდა 14 დეკემბრის დილის სხდომა.

## გერმანელ ფაშისტთა ფონდები შვეიცარიის ბანკებში

**ნიუ-იორკი**, 11 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" ციურიხელი კორესპონდენტის ცნობით, ცნობილმა შვეიცარიელმა ბანკირმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შვეიცარიის ბანკირებს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით აცნობეს მოლაპარაკების შეწყვეტა ამერიკის შეერთებულ შტატებში სეკვესტრირებული შვეიცარული ფონდების განთავისუფლების შესახებ. ამერიკის ხელისუფლებმა უარი სთქვეს განმარტება მიეცათ ამის გამო. მაგრამ სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კმაყოფილი არ არიან შვეიცარიის პოზიციისა შვეიცარიის სამრეწველო ბანკებში ფაშისტთა კონფისკებული ფონდების გამოვლინების დარგში.

კორესპონდენტი სწერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნით შვეიცარიის მთავრობამ მოახდინა ლერძის სახელმწიფოთა მეანაბრეების აღწერა, რომელმაც გამოავლინა, რომ 25 ათას გერმანელს შვეიცარიის ბანკებში შენახული ჰქონდა 175 მილიონი დოლარი. შვეიცარიის მთავრობამ ბრძანება გასცა იმ ანაბრების ინსპექტირების შესახებ, რომლებიც სეიფებში ინახება. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები აღნიშნავენ, რომ შვეიცარიის მიერ მიღებული ღონისძიებანი საკმაო არ არის, ვინაიდან დაშვებულია ანაბრების დამალვა. შვეიცარული პრესა ძლიერ ილაშქრებს მოკავშირეების წინააღმდეგ და ამტკიცებს, რომ შვეიცარიას აქვს უპირატესობა თავისი პრეტენზიები განაცხადოს შვეიცარიაში არსებულ გერმანულ ფონდებზე.

## თავდასხმა ფაშისტური ორგანიზაციის შტაბზე ინგლისში

**ლონდონი**, 14 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს გაზეთ „დეილი ექსპრესის" ცნობას იმის შესახებ, რომ 13 დეკემბერს საღამოს 12 მამაკაცი და 2 ქალი თავს დაესხნენ კინგდომ—ჰაუზს სუსექსში —იმ ფაშისტური ორგანიზაციის მთავარ ბინას, რომელიც ცნობილია „ქრისტიან რეფორმისტთა ლეგიონის" სახელწოდებით.

თავდასხმის მონაწილეებმა კინგდომ—ჰაუზში დასტოვეს ბარათი, რომელშიც ნათქვამია, რომ ეს ოპერაცია მოახდინა ოკეანის იქითურ ნაწილებში ნამსახურ ახალგაზრდა ინგლისელ ოფიცერთა ჯგუფმა, „იმიტომ, რომ, როგორც სჩანს, ხელისუფალნი არავითარ ზომებს არ იღებენ ინგლისში ჰიტლერის კულტის შემოღების წინააღმდეგ".

## დალტონი სესხზე ინგლის-ამერიკის შეთანხმების შესახებ

**ლონდონი**, 13 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ფინანსთა მინისტრმა ჰიუ დალტონმა, რომელმაც თემთა პალატას შესთავაზა რეზოლუცია სესხზე ინგლის-ამერიკის შეთანხმების მოწონებით, სთქვა: „ვალის ეს უდიდესი ტვირთი, რაც ჩვენ ომიდან გამოვიტანეთ, უცნაური ჯილდოა ყოველივე იმისათვის, რაც ჩვენმა ქვეყანამ საერთო საქმისათვის განიცადა. ეს არის უცნაური, ირონიით აღსავსე ჯილდო, რომელსაც ოდესმე კომენტარს გაუკეთებენ ისტორიკოსები".

შემდეგ დალტონმა სთქვა: „ეს შეთანხმება, ვიყოთ გულახდილნი, წარმოადგენს შედეგს არა მარტო სამი თვის აწეწილი მოლაპარაკებისა, არამედ მეტად შეუპოვარი ვაჭრობის შედეგსაც. მე გულახდილად ვეუბნები პალატას, რომ ჩვენ არა ერთხელ ვიდექით ამ მოლაპარაკების შეწყვეტის წინაშე. ჩვენ ჯერ მოვითხოვდით აღმოეჩინათ ჩვენთვის დახმარება ან მოეცათ უპროცენტო სესხი, მაგრამ ჩვენ განგვიცხადეს, რომ ეს პრაქტიკული პოლიტიკა არ არის და რომ კონგრესი არასოდეს არ დათანხმდება ასეთ ღონისძიებაზე... ჩვენ ხალისით და ადვილად როდი დავთანხმდით შეთანხმების ზოგიერთ მუხლს. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, მე ვთხოვ პალატას მოიწონოს შეთანხმება როგორც ისეთი, რომელიც ჩვენ მნიშვნელოვან და მეტად საჭირო უპირატესობას გვაძლევს".

შეთანხმება, სთქვა დალტონმა, ვერ უზრუნველჰყოფს იმას, რაც ინგლისს სურდა, მაგრამ, მათ ვინც კრიტიკულად ეკიდება ამ ღონისძიებებს, ჩვენ პირდაპირ შევეკითხებით: „რას შემოგვთავაზებთ ამის ნაცვლად?" ჩვენ რომ ეს შეთანხმება არ მიგვეღო, ინგლისს ნაკლები ექნებოდა ყოველგვარი სურსათი, თუ არ ჩავთვლით პურსა და კარტოფილს, გაცილებით ნაკლები ბამბა და თამბაქო, რაც მეტად დამღუპველ გავლენას მოახდენდა ხალხის მორალურ მდგომარეობაზე. ამ შეთანხმებაზე უარის თქმა იქნებოდა ინგლის-ამერიკის თანამშრომლობის ყოველგვარი იმედის ლიკვიდაცია.

თემთა პალატაში შეტანილი რეზოლუცია მოითხოვს მოწონებულ იქნას აგრეთვე ბრეტონ ვუდსში 1944 წელს დადებული შეთანხმება საერთაშორისო სავალუტო ფონდის და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის შექმნის შესახებ, აგრეთვე მოწონებულ იქნას წინადადება საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ. დალტონმა აღნიშნა, ინგლისს რომ გააჩნდეს ისეთი ფინანსიური სიძლიერე, რომ აკისროს ბრეტონ ვუდსის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებანი, მაშინ მთავრობა ამას ირჩევდა სესხის მიუხედავად. ინგლისის მონაწილეობა ბრეტონ ვუდსის გეგმაში დამოკიდებულია სესხის მიღებაზე დოლარებით.

## თემთა პალატამ მოიწონა ინგლის-ამერიკის საფინანსო შეთანხმება

**ლონდონი**, 14 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ საღამოს თემთა პალატამ 345 ხმით 98 ხმის წინააღმდეგ მიიღო მთავრობის რეზოლუცია, რომელიც იწონებს ინგლის-ამერიკის შეთანხმებას ამერიკის მიერ ინგლისისათვის სესხის მიცემის შესახებ და ბრეტონ ვუდსში დადებულ სავალუტო შეთანხმებას და მიესალმება წინადადებას საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

**ლონდონი**, 14 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, თემთა პალატამ მეორედ წაკითხვისას დაამტკიცა კანონპროექტი ბრეტონ ვუდსის შეთანხმების შესახებ 314 ხმით 50 ხმის წინააღმდეგ.

## ბელზენის საკონცენტრაციო ბანაკის 11 ჰიტლერელი ჯალათის სიკვდილით დასჯა

**ლონდონი**, 14 დეკემბერი. (საკდესი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ გუშინ ჩამოახრჩეს ბელზენის ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი კომენდანტი კრამერი და 10 სხვა ბრალდებული, რომელთაც მასთან ერთად სიკვდილი მიუსაჯეს ლუნებურგის პროცესზე.

## ბრაზილიის საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგები

**რიო-დე-ჟანეირო**, 14 დეკემბერი. (საკდესი). ბრაზილიის რადიოს მიერ დღეს დილით გადაცემული ცნობის თანახმად, ბრაზილიაში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგთა შესახებ არასაბოლოო ცნობებით, კანდიდატმა დუტრამ (სოციალ-დემოკრატიული პარტია) მიიღო 2.536.428 ხმა, გომესმა (ეროვნულ-დემოკრატიული კავშირი) — 1.644.477 ხმა, ფიუზამ (კომპარტია) — 438.692 ხმა და რომინმა (აგრარული პარტია) — 8.298 ხმა.

## პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს მომავალი სხდომა

**პარიზი**, 15 დეკემბერი. (საკდესი). 21-22 დეკემბერს პარიზში შესდგება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სხდომა. ბიურო განიხილავს გერმანიასა და საბერძნეთში ფედერაციის დელეგაციის გაგზავნის საკითხს, აგრეთვე მოამზადებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მიმართვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ფედერაციის წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ.



თელავის ძაფსალებ ფაბრიკასთან არსებული სანიმუშო საბავშვო ბაგის აღსაზრდელები.
ფოტო რ. აკოფოვისა

## მთვარის სრული დაბნელება

18 დეკემბერს ღამით მოხდება მთვარის სრული დაბნელება, რომელიც შესამჩნევი იქნება საქართველოს ყველა კუთხეში.

დაბნელება დაიწყება ღამის 4 საათსა და 38 წუთზე ადგილობრივი დროით, როცა მთვარე შეიჭრება დედამიწის ჩრდილში, უკანასკნელი თანდათან დაჰფარავს მთვარის ბადროს აღმოსავლეთიდან დასავლეთ კიდემდე და 5 საათსა და 40 წუთზე სრული დაბნელება დაიწყება, რომელიც დილის 7 საათამდე გასტანს. 8 საათსა და 3 წუთზე მთვარე გამოვა ჩრდილიდან.

მოსალოდნელია, დაბნელებული მთვარე „შეღებილი" იქნეს მკრთალად, შავწითლად ან შავმოისფროდ; ამას გამოიწვევს ის გარემოება, რომ მზის სხივები, რომელნიც დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენებს გაივლიან, ერთგვარი გარდატეხის შემდეგ, მიაღწევენ დაბნელებული მთვარის ზედაპირს და, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც გაანათებენ მას. დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენების ფიზიკურ თვისებებზე, საერთოდ, და მის მდგომარეობაზე დაბნელების მომენტში, კერძოდ, დამოკიდებულია ამ განათების ინტენსივობა და ფერი.

ეს უკანასკნელი გარემოება განსაზღვრავს მთვარის დაბნელების მეცნიერული დაკვირვება-შესწავლის მნიშვნელობას. მთვარის დაბნელების ფოტომეტრია და კოლორიმეტრია (სიკაშკაშისა და ფერის გაზომვა) სტრატოსფეროს შესწავლის ერთ-ერთ ასტრონომიულ მეთოდს წარმოადგენს.

აბასთუმნის ობსერვატორიაში უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნ. ვაშაკიძე ობსერვატორიის 16" რეფრაქტორის ფოკუსში ახლადმორგებული სპექტროგრაფის საშუალებით მიიღებს დაბნელებული მთვარის სპექტრის ფოტო სურათს. 13" რეფლექტორზე ობსერვატორიის სხვა თანამშრომლები მოახდენენ მთვარის სიკაშკაშისა და ფერის ზუსტ განსაზღვრას ელექტრო-ფოტომეტრის საშუალებით.

**ე. ხარაძე**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორი.

## საქართველოს თეატრალური საზოგადოების პირველი ყრილობა

17 დეკემბერს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში იხსნება საქართველოს თეატრალური საზოგადოების პირველი ყრილობა.

ყრილობას შესავალი სიტყვით გახსნის საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა.

მოხსენებას თემაზე — „ქართული თეატრის განვითარების გზები" — გააკეთებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი შალვა დადიანი.

ყრილობის დღის წესრიგშია აგრეთვე საზოგადოების წესდების განხილვა, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობა გაგრძელდება ორ დღეს. მას დაესწრება 150-მდე დელეგატი.

ყრილობის მუშაობის პროცესში საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილებით მემორიალური დაფები გაუკეთდებათ თბილისის იმ სახლებს, რომლებშიც ცხოვრობდნენ ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატები ვასილ ალექსის-ძე აბაშიძე, ვლადიმერ სარდიონის-ძე ალექსი-მესხიშვილი და კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე მარჯანიშვილი.

## ახალი სიმღერები

აფხაზი მწერლების გ. გულიას და მ. ლაკერბაიას ლექსების მიხედვით კომპოზიტორმა ა. პოზდნეევმა დასწერა ახალი სიმღერები „შურისმაძიებელი", „კოდორი ხმაურობს", „დაჭრილი მებრძოლის სიმღერა", „ერთი ასის წინააღმდეგ". სიმღერები მოწონებულია აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტისა და ხალხური შემოქმედების სახლის სპეციალური კომისიის მიერ.

სიმღერებს ამ დღეებში შეასრულებენ სახელმწიფო თეატრისა და ფილარმონიის არტისტები.

## პიონერთა სასახლეში

ორშაბათს, 17 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა სასახლის მხატვრული აღზრდის განყოფილების ქართული დრამატიული წრე სდგამს ვაჟაფშაველას „მოკვეთილს", რომელიც პირველად ამავე წრემ დასდგა 1944 წელს.

დადგმა ეკუთვნის რეჟისორ თ. წეროძეს, მხატვრული გაფორმება—ო. კონიაშვილს, მუსიკა—გრ. ჩხიკვაძეს, ქორეოგრაფია—ან. ჩიხლაძე, დეკორატორი—გ. ბუნაძე.

სპექტაკლში მონაწილეობენ: რ. ქარციაძე, ქ. ნავროზაშვილი, ს. გამრეკელი, თ. ფრაძე, ვ. მოსიძე, რ. ჩხიკვაძე, ვ. ვლადიმერაშვილი და სხვები.

## კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

**17 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე**, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **ამხანაგ სტალინის წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ"**.

სემინარს უხელმძღვანელებენ ამხ. **სიმონგულოვი** (ქართულ ენაზე) და ამხ. **გეგეშიძე** (რუსულ ენაზე).

**17 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე**, პოლიტიკურ ეკონომიაში შესდგება ინდივიდუალური კონსულტაცია ქართულ და რუსულ ენებზე. კონსულტაციას ჩაატარებენ ამხ. **ტატიშვილი** და ამხ. **ბასილაია**.

**18 დეკემბერს, დილის 9 საათზე**, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებისათვის და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლექტორებისათვის შესდგება სემინარი ქართულ ენაზე. თემა **„საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება"**. სემინარს ჩაატარებს აკადემიკოსი **ბერძენიშვილი**.

## სემინარი

**17 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე**, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკაბინეტში კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტი მომხსენებლებისა და პროპაგანდისტებისათვის აწყობს სემინარს თემაზე: **„ლენინურ-სტალინური მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ"**. სემინარს ჩაატარებს ამხ. **დარიბაშვილი**.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

## თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

**16 დეკემბერს: სახელმწიფო ოპერა—„დარეჯან ცბიერი". რუსთაველის სახელობის — „ზოგჯერ ბრძენიც შესცდება". მარჯანიშვილის სახელობის—„ფიქრის გორა". გრიბოედოვის სახელობის—„ასეც იქნება". მუსიკალური კომედიის—„ხაჯარათი".**

## კ ი ნ ო ე ბ შ ი

**16 დეკემბერს: რუსთაველის სახელობის**, ოქტომბერი — „უდანაშაულო დამნაშავენი". **დამკვრელი**—„არშინ-მალ-ალან". **კომკავშირელი**—„გაზაფხულის ვალსი". **სპარტაკი**—„არშინ-მალ-ალან". **ლუქსემბურგის სახელობის** „რაიკომის მდივანი".

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 26 დეკემბერს, დღის 2 საათზე, აუდიტორია № 86 (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) **ქსენოფონტე ვასილის-ძე კვანტრე** ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ა. ვ. კოლცოვის ენა"**.

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **გ. ს. ახვლედიანი**, პროფესორი **დ. ს. მგელაძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე **არჩილ არჩილის-ძე ჰინჯარაძემ**, მცხოვრებმა ნინოშვილის ქ. № 20, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ვალენტინა მიხეილის-ასულ ჰინჯარაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლოში.

მოქალაქე **ვალერიან ივანეს-ძე ტრაპაიძემ**, მცხოვრებმა კამოს ქ. № 28, აღძრა საქმე სამტრედიის ქ. № 36 მცხოვრებ მოქალაქე **სოფიო იოსების-ასულ წიველიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის სტალინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლოში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 09821